



განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და  
მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი  
The International Institute for Education  
Policy, Planning and Management

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული  
განვითარება საქართველოში  
უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული  
მიმართულების მიხედვით

### III - სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

ექსპერტი - ლალი ბაქრაძე

თბილისი 2013

## შინაარსი

შესავალი.....	3
ჰიპოტეტური მოდელი .....	8
I დოქტორანტურა .....	8
II. აკადემიური და კვლევითი პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის ხარისხის შეფასება, როგორც სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საფუძველი.....	9
რეალობა .....	12
1. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება, ზალცბურგის პრინციპები და სადოქტორო განათლება საქართველოში .....	12
2. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და ხარისხი.....	18
რა არის გასაკეთებელი .....	24
3.1. სადოქტორო საფეხურის გაძლიერება:.....	24
3.2. სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასება .....	26
დანართები.....	30
დანართი #1- ექსპლენს-კლასტერის განხორციელება გერმანიაში.....	30
დანართი #2 - მაქს პლანკის საზოგადოება - ფაქტები და ციფრები.....	32
დანართი #3 - პუბლიკაციები სამეცნიერო სფეროების მიხედვით (ISI Web of Knowledge).....	33
დანართი #4 - დანახარჯები მეცნიერებასა და განვითარებაზე.....	34
დანართი #5 - სამეცნიერო კვლევების შეფასების კრიტერიუმები და დონეები ქვეპროფილების მიხედვით.....	35
დანართი #6 - ერთობლივი სადოქტორო პროგრამა და კოტუტელე ხელშეკრულება თსუ-ში; წარმატებული მაგალითი.....	37
დანართი # 7- უნივერსიტეტები და კვლევითი პროექტები .....	39
დანართი #8 - უნივერსიტეტების აკადემიური და კვლევითი პერონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიები web of Science-ზე 2010 – 2013 .....	41
დანართი #9 - კოტუტელე ხელშეკრულება. მაგალითი .....	42
გამოყენებული ლიტერატურის სია .....	43

## შესავალი

ცოდნა თანამედროვე მსოფლიოს (ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების) ძირითადი რესურსია. ცოდნის შექმნა, შენარჩუნება და გადაცემა, რაც მხოლოდ სწავლისა და კვლევის ერთიანობითაა შესაძლებელი, უმაღლესი განათლების უპირველესი მოვალეობაა.

ევროპის შემდგომი განვითარების მიზნისათვის არაერთხელ დაფიქსირდა სწავლებისა და კვლევის ერთიანობის მნიშვნელობა და აუცილებლობა:

- “განათლებისთვის წაყენებული მოთხოვნა, მეტად შეუწყოს ხელი დასაქმებას (როგორც ეს ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებისათვისაა გაგებული) ნიშნავს, რომ განათლებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ახალი, კომპლექსური კომპეტენციების განვითარებას. აქ ვახსენებთ მხოლოდ სწავლის, პრობლემის სტრუქტურირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის უნარებს, რომლებიც მსგავსია იმისა, რაც ტრადიციულად მოეთხოვება მკვლევარს. ამ კომპეტენციების გამომუშავება კვლევითი პროექტებითაა შესაძლებელი და აქედან გამომდინარე სასარგებლოა უმაღლესი განათლების კურიკულუმებში კვლევის ასპექტების ჩართვა”<sup>1</sup>.
- “ყველა საფეხურზე კვლევაზე დაფუძნებული განათლების განხორციელება არის ევროპისა და ევროპული უნივერსიტეტების განსაკუთრებული სიძლიერე. ინსტიტუციები, რომლებიც კვლევაზე დაფუძნებულ განათლებას ახორციელებენ, უნდა დარწმუნდნენ, რომ კვლევითი კომპონენტი ჩართულია და ვითარდება ყველა საფეხურზე”<sup>2</sup>.
- “ყველა საფეხურზე კვლევაზე დაფუძნებული განათლების მეშვეობით ჩვენ უზრუნველყოფთ მაღალი დონის უნარებსა და ინოვაციურ აზროვნებას, რომელიც სჭირდება თანამედროვე საზოგადოებებს და რომელზეც მომავალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებაა დამოკიდებული”<sup>3</sup>.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში აუცილებელია კვლევითი ასპექტების გათვალისწინება. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთმიმართება დამოკიდებულია საგანმანათლებლო საფეხურზე, პროგრამის მიზნებსა და პროფილზე. საფეხურის ზრდასთან ერთად იცვლება ეს თანაფარდობა და სადოქტორო საფეხურზე კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის წამყვან კომპონენტად გვევლინება.

სწავლებასთან ერთად კვლევა უნივერსიტეტების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ცნობილი საუნივერსიტეტო რეიტინგების დასადგენად კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.<sup>4</sup> კვლევებს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა

<sup>1</sup> Measures to improve Higher Education/Research Relations in order to strengthen the strategic basis of the ERA. European commission 2003. P. 21.

<sup>2</sup> EUA Lisbon Declaration – “Europe’s Universities beyond 2010: Diversity with a common purpose”. 2010.

<sup>3</sup> EUA Aarhus Declaration – “Investing Today in Talent for Tomorrow”. 2011

<sup>4</sup> <http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/>  
<http://www.excellenceranking.org/eusid/EUSID>; <http://www.shanghairanking.com/>  
[http://www.eua.be/pubs/global\\_university\\_rankings\\_and\\_their\\_impact.pdf](http://www.eua.be/pubs/global_university_rankings_and_their_impact.pdf)

უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურზე, რომელიც სწავლება-კვლევის ერთიანობის ყველაზე თვალსაჩინო რგოლს წარმოადგენს. განვითარებულ ქვეყნებში კვლევები ძირითადად უნივერსიტეტებშია კონცენტრირებული, თუმცა საუნივერსიტეტო კვლევის პარალელურად, მაგ., გერმანიაში არსებობს წარმატებული კვლევითი ორგანიზაცია - მაქს პლანკის საზოგადოება.

საქართველო არის უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის წევრი, ასევე მონაწილეობს კვლევის ევროპულ სივრცეში და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ღირსეული ადგილის დამკვიდრება ამ საერთო ევროპულ სივრცეში. ამდენად, ჰიპოტეტური მოდელის განსაზღვრისათვის აუცილებელია ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ წარმატებული რამდენიმე ევროპული ქვეყნის მაგალითის განხილვა. კერძოდ, განხილულია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერის მოდელები ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გაერთიანებული სამეფო (ინგლისის მაგ.), გერმანია და ესტონეთი.<sup>5</sup>

**ინგლისში** საჯარო თანხები ნაწილდება დუალური სისტემით: საბაზო და საგრანტო.

*I. საბაზო დაფინანსება.* ინგლისში მთავრობა არის უნივერსიტეტების (სწავლება და კვლევა) ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელი. 2010-11 წლისათვის სწავლა და კვლევა დაფინანსდა 7,4 მლრდ ფუნტით. უმაღლეს სასწავლებლებს შორის აღნიშნული თანხის განაწილება უმაღლესი განათლების აქტით (1992) ინგლისის უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოს (შემდგომი-HEFCE) ვალდებულებაა. ამასთან, ის ვალდებულია დააფინანსოს ხარისხიანი კვლევა და სწავლება. HEFCE საგანამანათლებლო პროგრამების ხარისხისთვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) შეფასებებს, ხოლო კვლევების შესაფასებლად კი ე.წ. კვლევების შეფასების ჩარჩოს (RAE/REF), რომელიც საექსპერტო შეფასებაზეა (peer review) დაფუძნებული.

HEFCE-ს ხარისხზე დაფუძნებული ბლოკგრანტი არის სწავლებისა და კვლევების სტაბილური განვითარების საფუძველი. ეს დაფინანსება უსდ-ის შემოსავლების 40%-მდეა.<sup>6</sup> უმაღლესების შემოსავლების მეორე მნიშვნელოვანი წყარო სწავლის გადასახადია.

*II. საკონკურსო-საგრანტო დაფინანსება.* არსებობს პროექტულ დაფინანსებაზე ორიენტირებული 7 სხვადასხვა მიმართულების „კვლევების საბჭო“.

გაერთიანებული სამეფოში 2011 წლის მონაცემებით მშპ-ს 1,75%<sup>7</sup> დაიხარჯა კვლევასა და განვითარებაზე, რაც საშუალო ევროპულზე დაბალი მაჩვენებელია, თუმცა უნივერსიტეტები ჯერჯერობით ინარჩუნებენ მსოფლიო მოწინავე პოზიციებს.

**გერმანიაში** უნივერსიტეტების მხარდაჭერის 3- დონიანი სისტემა მოქმედებს:

*I. საბაზო.*- გერმანიაში მთავრობა უზრუნველყოფს უნივერსიტეტების სტაბილურ

<sup>5</sup> მათი შერჩევა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ინგლისისა და გერმანიის უნივერსიტეტები არიან მსოფლიოში წამყვან პოზიციებზე. ესტონეთთან გვაკავშირებს საერთო წარსული და ამასთან, ესტონეთმა 20 წელიწადში შეძლო ევროპაში სერიოზული პოზიციების დაკავება.

<sup>6</sup> Guide to funding. How HEFCE allocates its funds. 2010, p.6; www.hefce.ac.uk

<sup>7</sup> [http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe\\_2020\\_indicators/headline\\_indicators](http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe_2020_indicators/headline_indicators)

განვითარებას (მიწის მთავრობა 85% და ფედერალური 15%) და უნივერსიტეტებსა და საუნივერსიტეტო კვლევების მთავარი დამფინანსებელია. კერძო ფინანსები უმნიშვნელოა და 16%-ს შეადგენს<sup>8</sup>. უნივერსიტეტსა და მიწის სამინისტროს შორის გაფორმებული მიზნობრივი ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტი არის მიწის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი და მტკიცდება შესაბამისი მიწის პარლამენტის მიერ<sup>9</sup>. პროფესორებისა და მეცნიერების სახელფასო სარგოები უნიფიცირებულია.

*II. საგრანტო დაფინანსება.* მეცნიერების მხარდაჭერა, ასევე, ხორციელდება სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციის მიერ (მ.შ. უმსხვილესი -DFG, DAAD, BMBF);

*III. ექსელენს ინიციატივა* (მიზნობრივი საგრანტო დაფინანსება) არის მესამე დონის მხარდაჭერა და ითვალისწინებს სტაბილურად განვითარებადი, კარგი უნივერსიტეტების მიზნობრივ დაფინანსებას კონკურსის საფუძველზე სამი მიმართულებით: სადოქტორო სკოლები, ექსელენს კლასტერები, საუნივერსიტეტო კვლევითი სტრატეგიები. გერმანული მეცნიერების მსოფლიოში წამყვან მეცნიერებად წარმოჩენის მიზნით. პირველი ფაზა (2006-2011 წწ) – 1,9 მლრდ ევრო; მეორე ფაზა (2012-2017) – 2,7 მლრდ ევრო (იხ. დანართი #1).

ძლიერი კვლევითი უნივერსიტეტების გვერდით არსებობს რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოება მ.შ. მაქს პლანკის საზოგადოება. მისი მისიაა მსოფლიოში წამყვანი კვლევების განხორციელება. მისიდან გამომდინარე მაქს პლანკის ინსტიტუტები იქმნება მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოში წამყვან მკვლევართა გარშემო (იხ. დანართი #2). R&D დაფინანსებამ გერმანიაში 2011 წელს მშპ-ს 2,87%<sup>10</sup> შეადგინა, რაც საშუალო ევროპულზე მაღალია და ევროკავშირის მიზანი - 2020 წლისთვის მშპ-ს 3% R&D-ზე - მისთვის იოლად დასაძლევია.

ამდენად, გერმანიაში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტაბილური განვითარების საფუძველს სახელმწიფოს უზვი საბაზო დაფინანსება უზრუნველყოფს. მეცნიერების ხელშემწყობი საგრანტო და მიზნობრივი დაფინანსება კი სტაბილურად განვითარებადი უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების საერთაშორისო დონეზე წარმატების მიღწევის დამატებითი სტიმულია.

**ესტონეთმა** განათლებისა და მეცნიერების სისტემის გარდაქმნა დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში. 1991-ში შვედებმა განახორციელეს სამეცნიერო კვლევების პირველი შეფასება. 1997 წ. კვლევებისა და განვითარების აქტით შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან გაერთიანებისათვის. ინსტიტუტებს მიეცათ 6- თვიანი ვადა გადაწყვეტილების მისაღებად. მათი უმეტესობა შეუერთდა უნივერსიტეტებს. არც ერთი არ გაერთიანდა მეცნიერებათა აკადემიასთან, ზოგიერთი სხვადასხვა სამინისტროს დაქვემდებარებაშია<sup>11</sup>. 2005 წლისთვის ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების ინსტიტუტები შეუერთდნენ ტალინის უნივერსიტეტს. ამდენად, კვლევები ძირითადად ხორციელდება უნივერსიტეტებში, ხოლო მეცნიერებათა აკადემია ფუნქციონირებს, როგორც წევრობაზე დაფუძნებული საპატიო ორგანიზაცია<sup>12</sup>.

<sup>8</sup> <http://www.hrk.de/activities/higher-education-finance/>

<sup>9</sup> Funding Systems and their Effects on Higher Education Systems – Germany. 2006. p.2; <http://www.oecd.org/germany/38308008.pdf>

<sup>10</sup> [http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&init=1&plugin=0&language=en&pcode=t2020\\_20&tableSelection=1](http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&init=1&plugin=0&language=en&pcode=t2020_20&tableSelection=1)

<sup>11</sup> Science reform in Estonia - results and experience <http://www.zbi.ee/~tartes/materjalid/leedu.PDF>

<sup>12</sup> OECD Reviews of Tertiary Education – Estonia. OECD 2007. P.30

2005 წლიდან შეიქმნა სადოქტორო სკოლები. 2009 წელს 2009-15 წწ. ვადით მიზნობრივი დაფინანსებით (16,5 მლნ ევრო<sup>13</sup>) შეიქმნა ახალი 13 სადოქტორო სკოლა, რომლებშიც ჩართულია ექვსივე საჯარო უნივერსიტეტი. სკოლების მიზანია აამაღლოს ხელმძღვანელობის ხარისხი, ხელი შეუწყოს ინტერდისციპლინურობას, გაზარდოს საერთაშორისო და ეროვნული კოოპერაცია.

სამეცნიერო კვლევების დაფინანსება ხორციელდება საბაზო, საგრანტო და მიზნობრივი დაფინანსების სისტემით. განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული გეგმის 10- წლიანი პრიორიტეტები არის დაფინანსების ერთ-ერთი საფუძველი. საბაზო დაფინანსების საფუძველია სამეცნიერო კვლევების შეფასება. უმაღლესი განათლება და კვლევა ექვემდებარება გარე შეფასებას. შეფასების ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი მისი ინტერნაციონალიზაციაა.

კვლევების მეორე შეფასება, რომელიც უკვე მყარ სამართლებრივ ბაზას ეფუძნებოდა, განხორციელდა 2000-2003 წლებში, საექსპერტო შეფასების პრინციპით. შეფასება განხორციელდა 46 ჯგუფმა (200 უცხოელი ექსპერტი 18 ქვეყნიდან).

2010 წლიდან განისაზღვრა კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება ყოველ 7 წელიწადში.

- მიდგომა: ნებაყოფლობითობა, მოიცავს მთელ R&D სისტემას, სწრაფი, დაბალი ღირებულების, ნაკლები ბიუროკრატია - ეფუძნება არსებულ ინფორმაციას - ესტონეთის კვლევების საინფორმაციო ბაზას. შეფასებას ატარებენ უცხოელი **ექსპერტები**.
- შეფასების შედეგად წვდომა საჯარო ფინანსებზე; უმაღლესი განათლებისათვის კი კვლევების შეფასება სადოქტორო განათლების განხორციელების წინაპირობაა.

კვლევების უმეტესობა ხორციელდება უნივერსიტეტებში. ყველაზე დიდი საჯარო კვლევითი უნივერსიტეტია ტარტუს უნივერსიტეტი. მასზე მოდის ISI Web of Knowledge-ზე არსებული ესტონელ მეცნიერთა ნაშრომების 50%-ზე მეტი (იხ. დანართი #3). უმაღლეს სასწავლებლებს შორის კვლევა კონცენტრირებულია ორ უნივერსიტეტში: ტარტუსა და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებზე მოდის ესტონეთის კვლევებისა და განვითარების 70 % (მ.შ. პუბლიკაციები, პატენტები, სადოქტორო დისერტაციების დაცვა, შემოსავალი საკონტრაქტო კვლევებიდან)<sup>14</sup>.

ევროსტატისტიკის მიხედვით, ესტონეთის მიერ 2011 წელს კვლევაზე დახარჯული თანხები მშპ-თან დაკავშირებით შთამბეჭდავი და საშუალო ევროპულზე (2.03%) მაღალია. ამ მონაცემებით უსწრებს გაერთიანებულ სამეფოს და უპირობო ლიდერია ყოფილ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში (დამატებით ევროპის მონაცემები იხ. დანართი # 4).

<sup>13</sup> The researchers report 2012. Country profile –Estonia.  
[http://ec.europa.eu/euraxess/pdf/research\\_policies/country\\_files/Estonia\\_CountryFile\\_2012\\_FINALdoc.pdf](http://ec.europa.eu/euraxess/pdf/research_policies/country_files/Estonia_CountryFile_2012_FINALdoc.pdf)  
Doctoral schools in Estonia <http://www.hm.ee/index.php?1512875>

<sup>14</sup> OECD Reviews of Tertiary Education – Estonia. OECD 2007. P.30

ცხრილი #1

დანახარჯები მეცნიერებასა და განვითარებაზე

% -ად მშპ-თან

ქვეყანა/თარიღი	2008	2009	2010	2011	2020 მიზანი
ევროკავშირი (27 ქვეყანა)	1.92	2.01	2	2.03	3
გერმანია	2.69	2.82	2.8	2.84	3
ესტონეთი	1.28	1.43	1.63	2.38	3
ლატვია	0.62	0.46	0.6	0.7	1.5
ლიტვა	0.8	0.84	0.8	0.92	1.9
გაერთიანებული სამეფო	1.75	1.82	1.77	1.75	..

წყარო: ევროპა 2020.

[http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe\\_2020\\_indicators/headline\\_indicators](http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe_2020_indicators/headline_indicators)

# 1. ჰიპოტეტური მოდელი

სწავლისა და კვლევების ერთიანობის ჰიპოტეტური მოდელი ეფუძნება ბოლონიის პროცესის მიერ შემოღებულ სამსაფეხურიან სისტემას, რომელშიც თითოეული საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), პროფილიდან გამომდინარე, ითვალისწინებს კვლევის კომპონენტს. ვინაიდან კვლევა მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი მესამე საფეხურზე და, ზოგადად, სტუდენტის კვლევითი კომპონენტი ეფუძნება უსდ-ში მიმდინარე კვლევას, წინამდებარე დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორ საკითხს: დოქტორანტურასა და კვლევების ხარისხის შეფასებას.

## I დოქტორანტურა

დოქტორანტურა კვლევისა და სწავლების ერთიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. ბოლონიის პროცესის 2003 წლის ბერლინის სამიტზე ევროპამ სადოქტორო განათლება უმაღლესი განათლების სისტემის ნაწილად და მის მესამე საფეხურად აღიარა. ამ პროცესის ფარგლებში 2005 და 2010 წლებში შემუშავდა ზალცბურგის სადოქტორო განათლების რეფორმირების პრინციპები და რეკომენდაციები, რომელთაც ეფუძნება ჰიპოტეტური მოდელი. ამ მოდელის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებულია ინგლისის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს დოკუმენტები “დოქტორანტურის მახასიათებლები”(2011) და წარმატებული პრაქტიკის კოდექსი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, ნაწილი I (2004).

**სადოქტორო განათლების ძირითადი კომპონენტია ორიგინალური კვლევა.** “სადოქტორო განათლების მიზანია კვლევაზე ორიენტირებული აზროვნების კულტივირება; მოქნილი აზროვნების, კრეატიულობისა და ინტელექტუალური ავტონომიურობის აღზრდა/მხარდაჭერა ორიგინალური, კონკრეტული კვლევითი პროექტის მეშვეობით”<sup>15</sup>. სადოქტორო კვლევის შედეგები აკმაყოფილებს კვლევის ორიგინალობის მოთხოვნას და ვარგისია მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში გასავრცელებლად.

**წარმატებული სადოქტორო განათლების წინაპირობები:**

**სადოქტორო განათლების საფუძველია ხარისხიანი კვლევითი გარემო.** უნივერსიტეტის სადოქტორო განათლების სტრატეგია ეფუძნება უნივერსიტეტის კვლევით შესაძლებლობებს - კრიტიკულ მასას (ხარისხიანი კვლევები), მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურ კვლევით გარემოს. კვლევითი გარემო უზრუნველყოფს დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე კვლევაში.

**დოქტორანტის ხელმძღვანელობა.** დოქტორანტის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელმძღვანელობაზე. დოქტორანტის ხელმძღვანელი არის შესაბამისი

<sup>15</sup> Salzburg II recommendations. 2010, EUA. www.eua.be



მიმართულების აქტიური მკვლევარი (ერთობლივი ხელმძღვანელობისას ერთ-ერთი მაინც ახორციელებს მიმდინარე კვლევას), დოქტორანტს უწევდეს რეგულარულ და სათანადო ხელმძღვანელობას (პროგრესის მონიტორინგი, ჩართულობა საუნივერსიტეტო კვლევაში, კვლევით ნაშრომზე დროული და ეფექტური გამოხმაურება და ა.შ.).

**სადოქტორო განათლების მოქნილი სტრუქტურა (სადოქტორო სკოლები)** დოქტორანტს, როგორც დამწყებ მკვლევარს, აძლევს პერსონალური და კარიერული განვითარების ფართო შესაძლებლობას. ხელს უწყობს დოქტორანტის ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას და, ასევე, ზრუნავს ხელმძღვანელობის კულტურის განვითარებაზეც. სადოქტორო საფეხურზე კრედიტების სისტემის ისევე, როგორც შეფასების სისტემის, გამოყენება განსხვავდება წინა საფეხურებისაგან.

**სადოქტორო განათლების მრავალფეროვნება და ინტერნაციონალიზაცია** უზრუნველყოფილია სადოქტორო სკოლების ქსელებისა და რეგიონული კლასტერების შექმნის მეშვეობით; პროფესორ-მკვლევარებისა და დოქტორანტების გეოგრაფიული, ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული მობილობით. ბოლონის პროცესის მიზანია, რომ სტუდენტთა, მ.შ. დოქტორანტთა დაბალანსებულმა საერთაშორისო მობილობამ 2020 წლისთვის 20% -ს მიაღწიოს<sup>16</sup>.

**უნივერსიტეტებს ისევე, როგორც დოქტორანტებს,** აქვთ ადეკვატური, კვლევებზე ორიენტირებული მდგრადი დაფინანსება. დაფინანსების სქემა ითვალისწინებს პროგრამის ხარისხსა და შესაძლებლობებს.

**სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის** სისტემა დაკავშირებულია ქვეყნისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სტრატეგიასთან. არსებობს მჭიდრო კავშირი სამეცნიერო კვლევების შეფასებასა და იმ კვლევების გარემოს შეფასებას შორის, რომელიც სადოქტორო განათლების საფუძველია. ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ითვალისწინებდეს მესამე საფეხურის მოთხოვნებსა და ზემოაღნიშნულ პირობებს.

## ***II. აკადემიური და კვლევითი პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის ხარისხის შეფასება, როგორც სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საფუძველი***

ჰიპოტეტური მოდელი ემყარება შემდეგ დაშვებებს:

- საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში კერძო დაფინანსებას მნიშვნელოვანი წილი უკავია და სახელმწიფო ბიუჯეტს არ შეუძლია მისი სრულად ჩანაცვლება;
- ავტონომიური უნივერსიტეტები თავად განკარგავენ ფინანსებს(მ.შ. განსაზღვრავენ პერსონალის ანაზღაურებას);
- თანხების სიმცირის მიუხედავად სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით უნივერსიტეტები ფინანსდება კვლევების ხარისხის შეფასების საფუძველზე.

მთავრობის მხრიდან მხოლოდ ხარისხიანი სამეცნიერო-კვლევების მხარდაჭერის პრინციპის შესაბამის მაგალითად აღებულია ინგლისსა და ესტონეთში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა კვლევების ხარისხის პერიოდული საექსპერტო შეფასების საფუძველზე.

სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასებითა და მაღალი დონის კვლევების განხორციელების შესაძლებლობების იდენტიფიცირებით მთავრობა შეზღუდული ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტებში მაღალი ხარისხის კვლევების სტაბილურ განვითარებას.

კვლევების ხარისხის შეფასება მთავრობას საშუალებას აძლევს:

- მხარი დაუჭიროს მოწინავე კვლევას;
- უზრუნველყოს წარმატებული სამეცნიერო კვლევების სტაბილურობა;
- შექმნას და შეინარჩუნოს მსოფლიო დონის კვლევითი გარემო;
- ხელი შეუწყოს მკვლევარების (მ.შ. დოქტორანტების) განვითარებას.

REF არის უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასების პროცესი და ხორციელდება HEFCE<sup>17</sup>-ს მიერ, რომელიც ვალდებულია დააფინანსოს ხარისხიანი განათლება და კვლევა.

**შეფასების პროცესის ორგანიზება** ესაა საექსპერტო შეფასება, რომელიც ტარდება 4 ძირითადი და 36 ქვეპანელის ექსპერტების მიერ. შეფასება ტარდება პერიოდულად, 5- წლიანი პერიოდით. შეფასების პროცესი მოითხოვს მინიმუმ 2 წელს.

**შეფასების კრიტერიუმები და დონის დეფინიციები:**

შეფასების საბოლოო შედეგია კვლევის ხარისხის 5 -დონიანი ზოგადი პროფილი:

4 ვარსკვლავი	ხარისხი - მსოფლიოში წამყვანი, ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით
3 ვარსკვლავი	ხარისხი - საერთაშორისო წარჩინებით/ექსელენსი, მაგრამ ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით ჩამოუვარდება ექსელენსის უმაღლეს სტანდარტებს
2 ვარსკვლავი	ხარისხი - საერთაშორისო დონეზე აღიარებული, ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით
1 ვარსკვლავი	ხარისხი- აღიარებული ეროვნულ დონეზე ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით
არაკლასიფიცირებული	ხარისხი - ეროვნულ სტანდარტზე დაბალია ან ნაშრომი არ შეესაბამება შეფასების მიზნებისათვის გამოყენებულ კვლევის დეფინიციას

ზოგადი პროფილი, თავის მხრივ, ყალიბდება სამი ელემენტის შეფასების შედეგად მიღებული ქვეპროფილების გაერთიანებით. შეფასების ძირითადი ელემენტებია: კვლევის შედეგი, კვლევის

<sup>16</sup> ლუვენის კომუნიკე, 2009

<sup>17</sup> ინგლისის უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭო

გავლენა, კვლევის გარემო. თითოეულ ელემენტი ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებითა და 5-დონიანი შკალის მიხედვით (დანართი #5).

**კვლევის შედეგის შეფასების კრიტერიუმებია:** ორიგინალობა, მნიშვნელობა და სიძლიერე. მისი წილი ზოგადი პროფილის ჩამოყალიბებაში 65%-ია;

*ორიგინალობა* გაგებულია როგორც კვლევის შედეგების ინოვაციური ხასიათი. მაგ., ახალი და/ან კომპლექსური პრობლემა, ინოვაციური მეთოდების, მეთოდოლოგიებისა და ანალიტიკური ტექნიკის განვითარება;

*მნიშვნელობა* გაგებულია როგორც სფეროს/დისციპლინის ინტელექტუალური დღის წესრიგის განვითარება. კვლევის როგორც აქტუალური, ასევე პოტენციური მნიშვნელობა;

*სიძლიერე* გაგებულია, როგორც კვლევის კონცეფციის, ანალიზის, თეორიისა და მეთოდოლოგიის ინტელექტუალური სიზუსტე, სიჯანსაღე და შესაბამისობა.

ციტირების მონაცემებს შეფასების პროცესში 36 ქვეპანელიდან იყენებს მხოლოდ 11.

**გავლენის შეფასების კრიტერიუმებია:** წვდომა და მნიშვნელობა. მისი წილი ზოგადი პროფილის ჩამოყალიბებაში 20%-ია;

შეფასების მიზნებისათვის კვლევის გავლენა განისაზღვრა, როგორც ეფექტი ან ცვლილება, რომელიც მიიღო ან განიცადა ეკონომიკამ, საზოგადოებამ, ჯანდაცვამ, გარემომ, ცხოვრების დონემ ან სარგებელი, რომელიც მიღებული იქნა მათ მიერ.

**კვლევითი გარემოს შეფასების კრიტერიუმებია:** სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა. მისი წილი ზოგად პროფილში 15%-ია.

შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება კვლევითი სტრატეგია; მკვლევრების შერჩევა-განვითარება (მ.შ. დოქტორანტები), შემოსავლები, ინფრასტრუქტურა და კოლაბორაცია.

## 2. რეალობა

### 1. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება<sup>18</sup>, ზალცბურგის პრინციპები და სადოქტორო განათლება საქართველოში

1.1. 2005 წელს დაწყებულმა განათლების რეფორმამ, ევროპაში მიმდინარე ბოლონიის პროცესის გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო დონეზე ადვილად გასაგები და შესადარებელი სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემის შექმნას.

1.2. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, პირველ და მეორე საფეხურზე კვლევითი ნაშრომების განხორციელების აუცილებლობითა და მესამე - სადოქტორო საფეხურის შემოღებით (მ.48 - 49) შეიქმნა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაახლოვების სამართლებრივი საფუძველი. დოქტორანტურა გახდა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი.

დოქტორანტის კავშირი განათლებასთან და მეცნიერებასთან უნდა ასახავდეს მის ორმაგ სტატუსს - სტუდენტი და დამწყები მკვლევარი, რაც ზოგადი ფრაზებით გაზიარებულია კანონის 49-ე მუხლის მეორე პუნქტით. კერძოდ, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს *სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად*, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, *ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში*“. ე.ი. დოქტორანტი, როგორც სტუდენტი, დაკავებულია კვლევაზე ორიენტირებული საქმიანობით და ურთერთობს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებასთან. თუმცა, ეს არაა ასახული რამდენიმე მნიშვნელოვან ქვენორმატიულ აქტში:

1.2.1 „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ

- სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციისათვის გამოიყენება ზუსტად იგივე მიდგომები და კრიტერიუმები, როგორც პირველი და მეორე საფეხურისათვის; ბრძანების მუხლი 13. „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“ საერთოდ არ ახსენებს კვლევას (როგორც საუნივერსიტეტოს, ასევე მის ფარგლებში დოქტორანტის კვლევას), რომელიც სადოქტორო განათლების პროგრამის საფუძველია. ბრძანება ასევე არ ახსენებს უნივერსიტეტის კვლევების სტრატეგიასა და დოქტორანტის ხელმძღვანელის, როგორც აქტიური მკვლევრის, საკითხს.
- გარე ხარისხის უზრუნველყოფა არ ამოწმებს, ახორციელებს თუ არა აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რაც ამ უკანასკნელს მოეთხოვება კანონის 25-ე მუხლით.

<sup>18</sup> რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, განათლებისა და კვლევების ერთიანობას, კვლევითი უნარების გამომუშავებას ხელს უწყობს ჯერ კიდევ სასკოლო დონეზე და ყოველწლიურად აცხადებს შესაბამის საგრანტო კონკურსებს.  
[http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=18&id=1249](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=18&id=1249)

- ბრძანება სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებით აწესრიგებს ტექნიკურ საკითხს და აკრედიტაციის პროცესში ნაკლები თანხის გადახდის შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტებს. კერძოდ, „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულების არჩევანის შესაბამისად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობის სახით მიმართულების ან დარგის/სპეციალობის მიხედვით. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა განიხილება ერთ საგანმანათლებლო პროგრამად“ (მუხლი 18, პუნქტი 2).

1.2.2 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3

- შეფასების სიტემა ორიენტირებულია პირველ და მეორე საფეხურის პროგრამებზე. დოქტორანტის კვლევითი საქმიანობისა და დისერტაციის შეფასებაც ხდება საერთო მიდგომის საფუძველზე: „დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: ა) შუალედურ შეფასებებს; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას“ (მუხლი 4, პ.2), რომლებიც, თავის მხრივ, არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით. ეს ნიშნავს, რომ დისერტაციის დაცვის დროს მიღებული შეფასება უნდა იყოს საერთო შეფასების 40%-ის ფარგლებში ისევე, როგორც დოქტორანტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საჯარო ლექციის წაკითხვა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო დანარჩენი ქულები უნდა მიიღოს საჯარო ლექციის მომზადების პერიოდში განხორციელებული ერთზე მეტი შუალედური შეფასების დროს.
- ბრძანების თანახმად: „კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი)“ (მუხლი 3, პ.2). დოქტორანტურის საფეხურზე კრედიტების სისტემის გამოყენება კვლევით კომპონენტზე რეალობასაა მოწყვეტილი. კრედიტების გამოყენების პრობლემურობა სადოქტორო საფეხურზე ზალცბურგი-2-ის რეკომენდაციებშიცაა მითითებული.

ამდენად, აკრედიტაციის სტანდარტი ხელს არ უწყობს სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებას:

- დაფინანსებული საუნივერსიტეტო კვლევა არ განიხილება, როგორც დოქტორანტურის განხორციელების საფუძველი. მოქმედი სტანდარტით, კავშირი სადოქტორო სტუდენტის მომზადებასა და საუნივერსიტეტო მეცნიერებას შორის არ ჩანს.
- ბუნდოვანია დოქტორანტის ხელმძღვანელობის საკითხი.
- მესამე საფეხურზე შეფასებისა და კრედიტების გამოყენების არსებული წესი უფრო პრობლემის შემქმნელია, ვიდრე განვითარების ხელშეწყობი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც მესამე საფეხური რეგულირდება პირველი და მეორე საფეხურის მსგავსად და დოქტორანტურის განხორციელებისათვის აკრედიტაცია არ ითვალისწინებს მიმდინარე სამეცნიერო კვლევას, რომლის მონაწილედ გახდებოდა დოქტორანტი, უსდ-ების დიდმა ნაწილმა მარტივად შემოიღო მათთვის უჩვეულო მესამე საფეხური უნივერსიტეტის სტატუსის მისაღებად. კანონით უნივერსიტეტი „ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს“ (მ.2; კ.3<sup>18</sup>). კანონის მეორე მოთხოვნა, განახორციელოს სამეცნიერო კვლევები, ბევრი უნივერსიტეტის შემთხვევაში შეუსრულებელი ჩანს. ამდენად, უნივერსიტეტის სტატუსი არაა სამეცნიერო კვლევების განხორციელების გარანტი და სადოქტორო პროგრამებიც იშვიათად ხორციელდება დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში. 2013 წლის 14 ივლისის მდგომარეობის უსდ-ის რეესტრში 26 უნივერსიტეტია დაფიქსირებული. მათგან 2012 წლის ეროვნული სამეცნიერო ფორნდის გრანტი მიიღო მხოლოდ 7 უნივერსიტეტმა. 2010-13 წლებში დაფინანსებულ კვლევას ახორციელებდა მხოლოდ 13 უნივერსიტეტი (იხ. დანართი 3) და ამავე პერიოდისთვის ISI Web of Science-ის ბაზაში ფიქსირდება მხოლოდ 12 უნივერსიტეტის პერსონალის სტატიები (იხ. დანართი 4). ამასთან, ზოგიერთი უნივერსიტეტიდან მხოლოდ 1-2 წარმომადგენლის სტატიაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სტატია ერთდროულად 2-3 უნივერსიტეტის სახელითაა დაფიქსირებული. შესაბამისად, სტატიების მოცემული რაოდენობა რეალურზე მეტია. სტატიებში ჭარბობს საბუნებისმეტყველო მიმართულებები.

### 1.3. დაფინანსება

დოქტორანტურის დაფინანსება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტის საფუძველზე უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 83-ე მუხლითაა გათვალისწინებული. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პირველად მიმდინარე წელს გადაწყდა დოქტორანტების დაფინანსების საკითხი. დოქტორანტთა დაფინანსება აშკარად დადებითი მომენტი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამით დოქტორანტების სტიპენდიებით დაფინანსება არაა გათვალისწინებული და მინისტრის ბრძანებით<sup>19</sup> თანხები ჯერჯერობით მხოლოდ 2 წელიწადზეა გათვლილი.

2008-2012 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაზე გამოყოფილი თანხები როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში მცირდება. ამ ფონზე იზრდება დოქტორანტთა რაოდენობა. 2012 წელს 2008 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა (3040 და 1588) მაშინ, როდესაც მშპ-თან დაკავშირებით მეცნიერების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 0,16%-დან 0,07%-მდე შემცირდა, ხოლო უმაღლესი დაწესებულებებისა და მეცნიერების ჯამური დაფინანსება შემცირდა 0,28%-დან 0,13%-მდე.

### ცხრილი #2

უსდ-ისა და სამეცნიერო კვლევების საბიუჯეტო დაფინანსება და დოქტორანტების რაოდენობა

<sup>19</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბერის ბრძანება №147/ბ

“2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ”

დასახელება	2008	2009	2010	2011	2012
მშპ მლნ ლარი	19069.6	17986	20740	24344	26139
სამეცნიერო კვლევების პროგრამებზე სახ. ბიუჯეტის ფაქტიური დანახარჯები* მლნ. ლარი	31,2	39,7	38	21	18,5
%-ად მშპ-თან	0,16	0,22	0,18	0,09	0,07
უმაღლესი და კვლევითი პროგრამები**	52,6	58,2	51,5	32,6	33,2
%-ად მშპ-თან	0,28	0,32	0,25	0,13	0,13
დოქტორანტების რაოდენობა	1588	2986	-	4266	3040

\* 2008-2010 წწ. - 32.13 და 2012 წ. - 32.04 საბიუჯეტო კოდით გათვალისწინებულ თანხები.

\*\* სასწავლო გრანტების გარეშე, მხოლოდ უსდ-ის პირდაპირი დაფინანსება(მ.შ ინფრასტრუქტურა), სამეცნიერო გრანტები და მხოლოდ კვლევითი დაწესებულებები წყარო: საქართველოს მთავრობა: ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016; საქართველოს 2009, 2010, 2011 და 2012 წწ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები; <http://www.mof.ge> საქსტატი [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=205&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo)

#### 1.4. მოქნილი სტრუქტურა და მრავალფეროვნება

1.4.1. მოქნილი სტრუქტურისა და მრავალფეროვნების მიმართულებითაც გადაიდგა კანონით გარკვეული ნაბიჯები. კანონი არ ზღუდავს საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას (მ.14; პ.2; პ.3), რამაც შესაძლებელია სადოქტორო სკოლის ან მულტი/ ინტერდისციპლინური სადოქტორო ცენტრის სახე მიიღოს. კანონი ასევე იძლევა საუნივერსიტეტო/ ინტერდისციპლინური დაცვის საბჭოების არსებობის საშუალებას (მ. 30);

კანონით დაშვებულია ერთობლივი პროგრამების განხორციელება. ამასთან, უსდ უფლებამოსილია დაადგინოს ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესი (მ. 49); სახელმწიფო ხელს უწყობს სტუდენტების ურთიერთგაცვლას სწავლის პერიოდის აღიარებით (მ. 2, პ. „დ“; მ.3). არსებული სადოქტორო პროგრამები კი ითვალისწინებს ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კომპონენტს.

ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელება, მ.შ. კოტუტელე ხელშეკრულების (დანართი #9) გამოყენება საქართველოში მხოლოდ აკადემიური პერსონალის პირადი ინიციატივების საფუძველზე ხორციელდება. კანონში მოცემული ზოგადი ნორმის გარდა, რომელიც უფლებას აძლევს უნივერსიტეტს, განახორციელოს ერთობლივი პროგრამა, არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის მექანიზმები, პირიქით, კანონქვემდებარე აქტებში ინტერნაციონალიზაციას პრობლემებიც კი ექმნება.

ევროპულ დონეზე არსებულ ერთობლივ სადოქტორო პროგრამაში ჩართვა და შემდგომში კოტუტელე ხელშეკრულების გაფორმება ოთხი დოქტორანტისათვის თსუ-თვის იყო გამოწვევა,

რომელიც წარმატებით იქნა დაძლეული. ერთობლივი პროგრამის განვითარების შესაბამისად ფინანსური რესურსების მობილიზება განხორციელდა ყველა შესაძლო დამფინანსებლისგან: თსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტისგან, პარტნიორი უნივერსიტეტისა და ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან (ერთობლივი სადოქტორო პროგრამა - წარმატებული მაგალითი. დანართი # 6). აღნიშნული მაგალითის განხილვა გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დაფინანსების მექანიზმების არსებობა სახელმწიფო და საუნივერსიტეტო დონეზე.

რაც შეეხება დოქტორანტების მობილობას გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, კანონქვემდებარე აქტებით ეს საკითხი იმგვარადაა დარეგულირებული, რომ ინტერნაციონალიზაციისთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს.

ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.02.2010 წ. ბრძანება N 10/ნ “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” კანონისგან განსხვავებით მობილობას განიხილავს მხოლოდ როგორც ქვეყნის შიგნით, ერთი უსდ-დან მეორეში გადასვლას და არ იძლევა პასუხს საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მეორე მხრივ, განათლების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 98/ნ ბრძანებით „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ ნაწილობრივ (განათლების პერიოდის აღიარების ნაწილში) დარეგულირებულია საქართველოს უსდ-დან წასული სტუდენტის საერთაშორისო მობილობის საკითხი. კერძოდ, „*იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სხვა ქვეყნის დაწესებულებას შორის გაფორმებულია შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრისგან მიიღოს წინასწარი თანხმობა, რაც შემდგომში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების ავტომატურად აღიარების საფუძველია. ასეთ შემთხვევაში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლება აღიარებულად ითვლება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიუხედავად*“ (მუხლი 5, პუნქტი 15). თუმცა ის რეალურად არ მოქმედებს, ვინაიდან არ არსებობს ე.წ. თანხმობის მიღების მექანიზმი.

ამდენად, გაცვლით პროგრამით მიღებული კრედიტების ავტომატური აღიარება ისევ პრობლემად რჩება და პარალელურად პასუხგაუცემელია ისეთი კითხვები, როგორიცაა საერთაშორისო გაცვლით და/ან ერთობლივ პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სტატუსი (ორივე მიმართულებით) და ფინანსების საკითხი. ეს ყველაფერი კი ნიშნავს, რომ ერთობლივ სადოქტორო პროგრამაში მონაწილე დოქტორანტის პარტნიორ უნივერსიტეტში დროებით წასვლა იწვევს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, რაც ავტომატურად იწვევს სწავლის გადასახადის შეჩერებას.



ზემოთ აღნიშნულ ერთობლივ პროგრამაში გათვალისწინებული ერთსემესტრიანი მობილობის დროს დოქტორანტებს, რომლებიც ამ პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად პარტნიორ უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ და აგრძელებდნენ სასწავლო-კვლევით პროცესს, კანონმდებლობის თანახმად შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი. ამდენად, კარგად ჩამოყალიბებული ერთობლივი პროგრამისათვის, რომლებშიც წინასწარ უკვე განსაზღვრულია ყველაფერი (საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, ერთობლივი ხელმძღვანელობის პირობები, დაფინანსება, დისერტაციის დაცვა და შეფასება), სავალდებულო საერთაშორისო მობილობა ხდება პრობლემა. სტუდენტის პარტნიორი უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ განმეორებით ხდება იმ კომპონენტების აღიარება-შეთანხმება, რომელიც თავიდანვე იყო გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამით და სტუდენტის სტატუსის აღდგენა. სადოქტორო დონეზე ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგება დოქტორანტის დაფინანსების შემოღების შემდეგ, თუ არ შეიცვალა ან დაიხვეწა არსებული ნორმები, ანუ დოქტორანტი საზღვარგარეთ მობილობის დროს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან ერთად, დაკარგავს სადოქტოროს დაფინანსებას/სტიპენდიას.

ყოველივე ზემოაღნიშნული პრობლემაა უნივერსიტეტისათვის, ვინაიდან ერთობლივი პროგრამის შემუშავება არის შრომატევადი საქმე. უნივერსიტეტმა უნდა ჩადოს გარკვეული ფინანსური და ადამიანური რესურსი და ამის საპასუხოდ იღებს დამსჯელ ღონისძიებას - თანხების შემცირების სახით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაიმის კვლევითი უნივერსიტეტების რანჟირების მეთოდოლოგიით შეფასების 7,5% ინტერნაციონალიზაციაზე მოდის (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი)<sup>20</sup>, ხოლო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიზანი კი 2020 წლისთვის სტუდენტთა მობილობის 20%-მდე გაზრდაა. ამდენად, აუცილებელი ხდება ქვენორმატიულ აქტით დარეგულირდეს ორგანიზებული მობილობის საკითხები.

1.4.2. კანონმდებლობით აკრძალულია პროფესიული (ანუ პრაქტიკაზე დაფუძნებული) დოქტორანტურა. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში პროფესიული განათლება განიხილება უმაღლეს განათლებაზე დაბლა მდგომ განათლებად. თეორიულ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სადოქტორო პროგრამებისათვის (ბიზნესი, არქიტექტურა, საშემსრულებლო მიმართულებები და ა.შ.) ერთი და იგივე კრიტერიუმების შემოღება შეუძლებელია.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ რა არის სამეცნიერო კვლევა (R&D), ისევე როგორც სწორი მიმართულებით წარმართოთ საბიუჯეტო თანხები, აუცილებელია საერთაშორისო დონეზე არსებულ ორი დოკუმენტზე დაყრდნობა: იუნესკოს განათლების სტანდარტული კლასიფიკატორი - ISCED-2011 და OECD -ის "ფრასკატის სახელმძღვანელო", რომელიც განსაზღვრავს კვლევის სახეებსა და სფეროებს. აღსანიშნავია, რომ იუნესკომ განახლებული კლასიფიკატორით, ISCED-2011, შემოიღო პროფილები: თეორიული/აკადემიური;

<sup>20</sup> <http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/2012-13/world-ranking/methodology>

პრაქტიკული/პროფესიული. მერვე - სადოქტორო დონეზე მითითებულია, რომ სადოქტორო პროგრამები ხორციელდება როგორც აკადემიურ ასევე პროფესიულ დარგებში.

1.4.3. კანონმდებლობით დაშვებულია პრივილეგიები მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო განათლებისათვის (მ.შ. სადოქტორო განათლება). კერძოდ,

- მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს (მ.შ. დოქტორის ხარისხის) ადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი(მ. 31<sup>1</sup> პ. 3.);
- მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე არ ვრცელდება აკრედიტაციის წესები (მ. 63, პ. 1<sup>1</sup>);
- საღვთისმეტყველო განათლება უპირობოდ აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. (მ. 47<sup>5</sup> პ. 2)

ეს ნიშნავს, რომ მართლმადიდებლური პროგრამებით (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, არქიტექტურა და ა.შ.) დოქტორანტების მომზადება და ხარისხის მინიჭება განხორციელდება განსხვავებული წესით, თუმცა ამ ხარისხის მფლობელს საქართველოშიც და საზღვარგარეთ ექნება აღიარებული დიპლომის (აპოსტილით დამოწმებული) შესაბამისი უფლებები. საერთაშორისო დონეზე ეს გამოიწვევს უნდობლობას მთლიანად საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და კვალიფიკაციებისადმი. ქვეყნის შიგნით უარყოფითად იმოქმედებს განათლების ხარისხზე.

## **2. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და ხარისხი**

მეცნიერების განვითარება რეგულირდება სამი კანონით: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ (1994); უმაღლესი განათლების შესახებ (2004) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ (2007). აღნიშნული კანონები არეგულირებენ მეცნიერების განვითარების მხარდაჭერისა და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შეფასების საკითხებს. მათი არაკოორდინირებულობა განსაკუთრებით კარგად ჩანს სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასების საკითხში.

### **2.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა**

საქართველოში სამეცნიერო კვლევების დაფინანსება სახელმწიფოს ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე ხორციელდება ორდონიანი სისტემით(მეცნ. კ. მ. 15, პ2):

- ექსპერტთა შეფასებაზე დაფუძნებული საკონკურსო - საგრანტო სისტემა. მეცნიერების განვითარების კონკურენტული გარემოს შექმნისა და სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით შექმნილია ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
- საბიუჯეტო (ბაზური) დაფინანსება;

დამატებით, "... ექსპერტიზის საფუძველზე სამეცნიერო კვლევის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ სახელმწიფო რესურსებით და კონკურსით" (მეცნ. კ. მ. 15, პ2).

მეცნიერების დაფინანსების ძირითადი წყარო - სამეცნიერო ფონდის გრანტები, ძალიან მწირი ფინანსური საშუალებები (2012 წ. 13,5 მლნ. ლარი), გათანაბრების პრინციპით (წელიწადში 50 ათასი ნებისმიერი მიმართულების ერთ პროექტზე. ჩვეულებრივად მიმართულებიდან ფინანსდება 3 პროექტი) ნაწილდება ფუნდამენტური კვლევების შემდეგ მიმართულებებზე:

- 1) ქართველოლოგიის მეცნიერებები;
- 2) ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
- 3) საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
- 4) საინფორმაციოტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
- 5) მათემატიკური მეცნიერებები;
- 6) ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
- 7) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- 8) სამედიცინო მეცნიერებები;
- 9) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
- 10) აგრარული მეცნიერებები.

ერთი შეხედვით, ქართველოლოგია არის პრიორიტეტულ მდგომარეობაში, ვინაიდან ის ჰუმანიტარული მეცნიერებებისგან დამოუკიდებლადაა მოცემული ჩამონათვალში. თუმცა, მისი პრიორიტეტულობა აქ მთავრდება, ყველა სხვა პირობა საერთოა.

დაფინანსების გათანაბრებითი პრინციპი გამოიყენება გამოყენებით კვლევებზეც, თუმცა ამ შემთხვევაში ერთი პროექტის წლიური დაფინანსება უფრო მაღალია (100 ათასი ლარი). სამეცნიერო ფონდის 2012 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით გამოყენებითი კვლევების “კონკურსი ორიენტირებული იყო კომერციულად ღირებული პროექტების შექმნაზე, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებით კომერციული სექტორის დაინტერესებას, სამეცნიერო და ბიზნეს წრეების დაახლოებას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას”<sup>21</sup>. ამასთან, გამოყენებით პროგრამებში კომერციულად ღირებულ პროექტებთან ერთ კონკურსში მონაწილეობენ და ფინანსდებიან ვებგვერდებისა და მონაცემთა ბაზების შექმნასთან დაკავშირებული პროექტებიც. ამ ტიპის პროექტების დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანია ელ-რესურსებზე დაფუძნებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მაგრამ გაურკვეველია როგორ შეიძლება ერთი და იმავე კრიტერიუმებით შევაფასოთ კომერციული და არაკომერციული პროექტები.

არც თუ იშვიათად ფინანსდება სპეციალურად ერთ კონკრეტულ საკითხზე გამოცხადებული პროექტები; სამეცნიერო ფონდი აფინანსებს მისთვის უჩვეულო სასკოლო ოლიმპიადებს, სკოლაში კვლევითი უნარების გამომუშავებასა და ა.შ.

ამდენად, არსებობს კითხვები ზოგადად ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტებთან, შეფასების

<sup>21</sup> [http://www.rustaveli.org.ge/upload/editor/file/grantis\\_mimgebatvis/2013/angarishi%202011.pdf](http://www.rustaveli.org.ge/upload/editor/file/grantis_mimgebatvis/2013/angarishi%202011.pdf)

კრიტერიუმებთან და დაფინანსების გათანაბრების პრინციპთან დაკავშირებით, ანუ რამდენად ეფექტურია ძალიან მცირე თანხებით მეცნიერების ყველა მიმართულების ერთი და იგივე ოდენობის თანხით დაფინანსება.

საგრანტო დაფინანსების პარალელურად მეცნიერება სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც ფინანსდება პირდაპირ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ არსებობს მეცნიერებასთან დაკავშირებული სრული და სანდო სტატისტიკური ინფორმაცია. არა მარტო გაურკვეველია, მშპ-ს რა ნაწილი იხარჯება მეცნიერებაზე, არამედ მეცნიერებაზე ზუსტი საბიუჯეტო დანახარჯების განსაზღვრაც კი გართულებულია მას შემდეგ, რაც კვლევითი დაწესებულებები შეუერთდნენ უნივერსიტეტებს.

ცხრილი #3

სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური დანახარჯები უმაღლეს განათლების დაწესებულებებსა და სამეცნიერო კვლევებზე

ათასი ლარი,

საბიუჯეტო კოდი *	დასახელება	2008	2009	2010	2011	2012
32 12 01 32 04 01	უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა** (უსდ-ს ხელშეწყობა)	15 619	17 989	17 218	16 615	18 066
32 12 05 32 12 04	საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის პროგრამა	10 579	6 169	1 795	-	-
32130102 /32130201  32040301	სამეცნიერო გრანტების პროგრამა***	9 386 2 457	15 862 4 377	20 979	14 044	13 479
32 13 03 32 13 02  32 04 03 02	სამეცნიერო დაწესებულებები	14 510	13 793	11 583	1 938	1 594
32 13 04 32 13 03 32 04 03 03	მეცნიერებათა აკადემია	3 006	3 443	3 508	3 400	3 099
32 13 05 32 13 04  32 04 03 04	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია	533	302	307	307	352

\* ზოგიერთი პროგრამის კოდი იცვლება წლების მიხედვით.

\*\* მოცემულია უმაღლესი განათლების/კვლევების პირდაპირი დაფინანსება, სასწავლო გრანტების გარეშე.

\*\*\* მოცემულია მხოლოდ გრანტის თანხები, არ ითვალისწინებს ფონდის აპარატს.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები;

<http://www.mof.ge>

სსიპ უსდ-ები ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გარკვეულ თანხებს იღებენ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისათვის. 2010 წლიდან სსიპ-ი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, უნივერსიტეტებს შეუერთდა და ბიუჯეტში მათი დაფინანსება სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამიდან გადავიდა უსდ-ს დაფინანსების პროგრამაში. 2012 წელს 2008 წელთან შედარებით მშპ-თან მიმართებაში მეცნიერების საბიუჯეტო დაფინანსება 0,16%-დან 0,07%-მდე შემცირდა. მართალია ამ დროისთვის (2012 წ) კვლევითი ინსტიტუტების ნაწილი უკვე გაერთიანებული იყო უნივერსიტეტებთან, მაგრამ უმაღლესი განათლებისა და კვლევების ერთობლივი საბიუჯეტო დანახარჯები იმავე პერიოდისათვის ასევე შემცირებულია 0,32%-დან 0,13%-მდე (იხ. ცხ. #2 და #3). 2011-2012 წლებში უსდ-კვლევების გაერთიანებული მონაცემებით შეძლებულია იმის დადგენა, თუ ზუსტად რამდენი ხარჯება გაერთიანებული თანხიდან სამეცნიერო კვლევებზე. დიდი ალბათობით, საერთო დაფინანსების მნიშვნელოვანი შემცირება ასევე სერიოზულად აისახებოდა უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზეც.

მეცნიერების ძალიან დაბალი საბაზო დაფინანსებისა და მომველელი სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის ფონზე *სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის* მოპოვება სამეცნიერო პერსონალისათვის არა მარტო მცირე ხელფასის გაზრდის მთავარი წყარო, არამედ თანამდებობის შენარჩუნების პირობაც კი არის. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ კანონის თანახმად “ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტზე ნაშრომის წარმოუდგენლობა ან 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა” არის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი (მ.11, პ.ე). საქართველოში მეცნიერებას არა აქვს სტაბილური დაფინანსება. მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიების აქვთ კანონმდებლობით გარანტირებული სრული ავტონომია და სახელმწიფო დაფინანსება (მ.6, პ. 1).

საქართველოში მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსებასთან შედარებისათვის:

- ბრიუსელის ფლანდრიული უნივერსიტეტის (VB) 2009 წლის ბიუჯეტით მხოლოდ სამეცნიერო კვლევებზე დაიხარჯა 75 მლნ. ევრო. სტუდენტი - 11 ათასი. 2012 წლის ტაიმსის რეიტინგში 301-350 ადგილზეა.
- ბრიუსელის ფრანგული უნივერსიტეტის (ULB) კვლევების დაფინანსებამ 2011 წელს შეადგინა 140 მლნ. ევრო. სტუდენტი - 24 ათასი. 4 ნობელის პრემიის ლაურეატი. 2012 წლის ტაიმსის რეიტინგში 226-250 ადგილი.
- გერმანიაში უნივერსიტეტის ერთი ექსელენს - კლასტერის წლიური დაფინანსება არის 6,5 მლნ. ევრო.

აღნიშნული ციფრები გვიჩვენებს, რომ 2012 საქართველოში სსიპ უსდ-ის და მეცნიერების დაფინანსება 33,2 მლნ ლარი(13,48 სამეცნ. გრანტი +1,59 კვლევა-საბაზო + 18,07უსდ/კვლევა-საბაზო) დაახლოებით 5-ჯერ ნაკლებია ბრიუსელის ფლანდრიული უნივერსიტეტში მხოლოდ კვლევების დაფინანსებაზე (75 მლნ. ევრო) და დაახლოებით 2-ჯერ აღემატება გერმანიაში უნივერსიტეტის ერთი ექსელენს კლასტერის დაფინანსებას (6,5 მლნ. ევრო).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 19,7 მლნ ლარით უმაღლესის და მეცნიერების საერთო საბაზო

დაფინანსება ნიშნავს, რომ ქვეყანაში და მეცნიერება ფაქტიურად არ ფინანსდება და მხოლოდ 13,5 მლნ საგრანტო დაფინანსება ვერ შეუწყობს ხელს მეცნიერების სტაბილურ განვითარებას.

## 2.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება

კანონმდებლობა მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. ამასთან, კანონმდებლობის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხდება გაორმაგებული ძალისხმევით:

- მეცნიერებათა აკადემია “იხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს” (მეც.აკ. მ.4 პ.2, ქპ. ”ი”);
- უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რასაც ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები(უგკ. მ.25).

უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ძირითადად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესრულებით არიან დაკავებული. აკრედიტაციის თვითშეფასების ფორმა კი ითვალისწინებს მხოლოდ სასწავლო საქმიანობის შეფასებას. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ძირითადად არ ახორციელებენ პროფესორების კვლევითი საქმიანობის, ისევე როგორც სამეცნიერო ერთეულების საქმიანობის შეფასებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის მოკლევადიანი ხელშეკრულებები, რეალურად ქმნის პრობლემას განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შეფასებისათვის. კვლევითი საქმიანობის სრულფასოვანი შეფასებისათვის 3-5 წლიანი პერიოდი მაინცაა საჭირო, 3 წლიანი ხელშეკრულების პირობებში კი პროფესორის მიერ განხორციელებული კვლევების შეფასება ვერც ესწრება. უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია სტატისტიკისათვის მნიშვნელოვანი ისეთი ინფორმაციის შეგროვება, როგორცაა განხორციელებული ან მიმდინარე პროექტების რაოდენობა, პუბლიკაციების რაოდენობა, მობილობაში მონაწილეობა და ა.შ.

მიუხედავად საკანონმდებლო ნორმებისა, საქართველოში არ არსებობს განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ხარისხის საექსპერტო შეფასების პრაქტიკა. მიმდინარე წელს უნივერსიტეტების კვლევითი დაწესებულებებისათვის დამატებითი დაფინანსების მისაღებად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები დასკვნისთვის გადასცა მეცნიერებათა აკადემიას. ეს კონკრეტული შემთხვევა, მისი ფორმატიდან გამომდინარე, არ შეიძლება განვიხილოთ განხორციელებული კვლევის ხარისხის შეფასებად ან, საერთოდ, პროექტის საექსპერტო შეფასებად. საპროექტო წინადადებების წარდგენა ხდებოდა მაქსიმუმ ერთი გვერდის ოდენობით.

სახელმწიფო დონეზე არ არსებობს უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები. ზოგიერთ უსდ-ს აქვს აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარი, თუმცა გაურკვეველია, რაში გამოიყენება თვითშეფასების შედეგები.

დაბალია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებელი. Web of Science-ის ბაზაში 1997-2007 წლებში ზოგადი მისამართით Tbilisi და Tiflis ფიქსირდება როგორც უსდ-ების, ასევე კვლევითი ინსტიტუტების მიერ ყველა მიმართულებით გამოქვეყნებული 10524 სტატია, ქუთაისი - 69, ბათუმი - 55, გორი – 13 და თელავი - 9 სტატია.

### 3. რა არის გასაკეთებელი

პირველ რიგში აუცილებელია, რომ 2020 -25 წწ. შემუშავებული ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტის საფუძველზე შემუშავდეს და დამტკიცდეს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების 10-წლიანი სტრატეგია შესაბამისი ფინანსური რესურსებით მ.შ. განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და დაიგეგმოს მშპ-თან მიმართებაში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური ზრდა. მეცნიერებისათვის ევროპული ორიენტირი მშპ-ს 3% 2020 წლისთვის საქართველოსთვის მიუღწეველია, თუმცა 2020 წლისთვის საქართველოში კვლევების წილი სულ მცირე მშპ-ს 1%-ს უნდა შეადგენდეს<sup>22</sup>, სხვა შემთხვევაში სერიოზული პრობლემა ექმნება როგორც სამეცნიერო კვლევას, ასევე სადოქტორო განათლებას და მომავალში არა მარტო ახალი ცოდნის შექმნა, არამედ არსებულის შენარჩუნება და გადაცემაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

#### 3.1. სადოქტორო საფეხურის გაძლიერება

გრძელვადიან პერიოდში სადოქტორო პროგრამების დაფინანსება უნდა განხორციელდეს კვლევაზე გამოყოფილი ბლოკგრანტების საფუძველზე (იხ. 3.2.1.). ბლოკგრანტი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს კვლევების ხარისხთან და იმ უნივერსიტეტებში უნდა დაფინანსდეს სადოქტორო პროგრამები, რომლებშიც იქნება ხარისხიანი კვლევების კრიტიკული მასა.

საშუალო და მოკლევადიან პერიოდში, ერთი მხრივ, უნდა დაიხვეწოს არსებული ნორმატიული ბაზა და, მეორე მხრივ კი, ბლოკგრანტების შემოღებამდე ხელი შეეწყოს სადოქტორო განათლების შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაციას მიზნობრივი დაფინანსების გზით. კერძოდ:

#### მიზნობრივი დაფინანსება

3.1.1 სახელმწიფომ ფინანსურად უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტებში სადოქტორო განათლების შესაბამისი სტრუქტურების შექმნა. სადოქტორო სკოლების, მულტი და ინტერდისციპლინური საუნივერსიტეტო/უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო ცენტრების და/ან ქსელების შექმნის სტიმულირება უნდა მოხდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კონკურსის მეშვეობით, 5-6-წლიანი ვადით. სადოქტორო სკოლა უნდა ითვალისწინებდეს დოქტორანტის დაფინანსებას მინიმუმ 3 წლის ვადით (გერმანიაში ექსელენს ინიციატივის სადოქტორო სკოლა წელიწადში იღებს 1 მლნ ევროს. ესტონეთში კი ერთ სადოქტორო სკოლაზე საშუალოდ 1,3 მლნ ევრო მოდის 5 წლის განმავლობაში<sup>23</sup>).

3.1.2. სადოქტორო პროგრამების ხარისხის ამაღლებისა და საერთაშორისო-სამეცნიერო საზოგადოებაში დოქტორანტების რეალური ჩართვის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან, ფონდის მეშვეობით საგრანტო კონკურსით, მიზნობრივად დაფინანსდეს ერთობლივი საერთაშორისო

<sup>22</sup> ლ. ჩახაიას დმიერ მომზადებულ დოკუმენტში 2017 წ. კვლევის დაფინანსების წილი მშპ-ში 0,3%.

<sup>23</sup> <http://www.hm.ee/index.php?1512875>



სადოქტორო პროგრამები მ.შ. კოტუტელე ხელშეკრულებები, შემდეგი პირობების დაცვით: დოქტორანტის ერთობლივი მომზადება და საერთაშორისო შეფასება განხორციელდეს მხოლოდ მსოფლიო რეიტინგების (Times, ARWU, 2014 წლიდან U-Multiranking) სიაში (400-500) მყოფ უნივერსიტეტებთან ერთად და ხელი შეეწყოს ამ დოქტორანტების კარიერულ განვითარებას საქართველოში. ერთობლივი პროგრამა სავალდებულოდ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის შინაარსზე პასუხისმგებელ საერთაშორისო ექსპერტო საბჭოს ჩამოყალიბებას, დოქტორანტისა და თანახელმძღვანელების მობილობას პარტნიორ უნივერსიტეტებში; დოქტორანტის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობასა და რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებას; თანახელმძღვანელების მიერ დოქტორანტის პროგრესის ყოველწლიურ შეფასებას წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძველზე; დოქტორანტის დისერტაციის შეფასებას საერთაშორისო ექსპერტების (საბჭოს წევრად და ოპონენტებად) მონაწილეობით; დოქტორანტის სტიპენდიით უზრუნველყოფას.

### **ნორმატიული ბაზის გაუმჯობესება**

3.1.3 აკრედიტაცია უნდა ითვალისწინებდეს სადოქტორო პროგრამებისათვის განსხვავებულ სტანდარტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შემდეგი საკითხების გადაჭრა:

- *დოქტორანტის, როგორც დამწყები მკვლევრისათვის შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობი გარემოს ჩამოყალიბება:* სადოქტორო პროგრამის განხორციელების წინაპირობა უნდა იყოს უნივერსიტეტში მიმდინარე, დაფინანსებული სამეცნიერო კვლევა, რომელშიც აქტიურად ჩართულია დოქტორანტის ხელმძღვანელი. სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსით. კერძოდ, შესაბამისი მიმართულების საერთაშორისო, რეფერირებადი სამეცნიერო პერიოდიკით, სამეცნიერო ლაბორატორიით, სადოქტორო სტიპენდიით ან სხვა ფინანსური მხარდაჭერის სქემებით;
- *ხელმძღვანელობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა:* დოქტორანტის ხელმძღვანელობა პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის შეფასებასთან. დოქტორანტის ხელმძღვანელობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტმა არ უნდა დაუშვას ხელმძღვანელის გადატვირთულობა და ხელმძღვანელის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს პროფესორის სასწავლო, კვლევითი, ადმინისტრაციული და სხვა დატვირთვა. გარე ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა შეამოწმოს აქვს თუ არა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფას ხელმძღვანელის განსაზღვრის მკაფიო და გამჭვირვალე წესები ისევე, როგორც ხელმძღვანელობის კულტურის განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები;
- *დოქტორანტის ხელშეწყობა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში გასავრცელებლად ვარგისი ორიგინალური კვლევის შემუშავებისათვის:* სადოქტორო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს დოქტორანტებისათვის კვლევითი და ტრანსფერული უნარების შემდგომ განვითარებას ისევე, როგორც კვლევის შედეგების საერთაშორისო ექსპერტიზას. ამავედროულად, უნივერსიტეტებში უნდა არსებობდეს პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკა და შესაბამისი მექანიზმები.

3.1.4 ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა მობილობის სამართლებრივი ბაზის დახვეწის მეშვეობით, რაც გულისხმობს, როგორც საქართველოს უნივერსიტეტიდან, ისევე საქართველოს უნივერსიტეტში დოქტორანტის საერთაშორისო მობილობის ხელშემშლელი საკანონმდებლო დაბრკოლებების აღმოფხვრას. კერძოდ, ერთობლივ და/ან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს, გაცვლითი ხელშეკრულების ფარგლებში საზღვარგარეთ მობილობის დროს სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაგივრად უნდა მიენიჭოს საერთაშორისო მობილობის სტუდენტის სტატუსი (იგივე სტატუსი უნდა მიენიჭოს ამავე პროგრამის ფარგლებში ჩამოსულ უცხოელ სტუდენტს) და შესაბამისი დაფინანსება უნდა მიიღოს უნივერსიტეტმა. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის ფინანსური საკითხები კი უნდა გადაწყდეს შესაბამისი საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში.

3.1.5 მესამე საფეხურზე კრედიტების გამოყენებისა და შეფასების საკითხების დოქტორანტურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. შესაძლებელია კრედიტების მხოლოდ სასწავლო კომპონენტის დასაგეგმად გამოყენება. გასაუქმებელია შუალედური შეფასების მოთხოვნა სადოქტორო საფეხურზე.

3.1.6 საგანმანათლებლო (მ.შ. სადოქტორო) პროგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით უმაღლესი განათლების საფეხურზე პროფილების (თეორიული/პრაქტიკული) შემოღება. აღნიშნული საშუალებას მისცემს უსდ-ებს პირველ და მეორე საფეხურზე განსაზღვრონ პროგრამები სავალდებულო კვლევითი პროექტით და მესამე საფეხურზე კი – კვლევითი კომპონენტის მოცულობა და განხორციელების პირობები.

3.1.7 საღვთისმეტყველო სადოქტორო პროგრამებზე უმაღლესი განათლების სისტემის მოთხოვნების (მ.შ. აკრედიტაცია და ხარისხის მინიჭება) გავრცელება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის შენარჩუნება.

## **3.2. სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასება**

### **გრძელვადიან პერიოდის ამოცანები**

3.2.1. მეცნიერებისა და დოქტორანტურის ხელშეწყობის მიზნით უნდა გაიზარდოს საბაზო დაფინანსება. საუნივერსიტეტო კვლევები უნდა დაფინანსდეს ფორმულით გათვლილი ბლოკგრანტების საფუძველზე. ფორმულა, თავის მხრივ, დაეფუძნება სამეცნიერო კვლევების შეფასებას 5-7-წლიანი ინტერვალით. კვლევების ხარისხის შეფასებაში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ხოლო შესაბამისი ხარისხის დადასტურების შემთხვევაში ყველა არამოგებიან უსდ-ს უნდა ჰქონდეს წვდომა შესაბამის საბიუჯეტო დაფინანსებაზე.

სამეცნიერო კვლევების შეფასების ჰიპოტეტური მოდელის მსგავსი სისტემის ჩამოყალიბება არის ძალიან გრძელვადიანი პროცესი და მოითხოვს მინიმუმ 2 წელს წინა მოსამზადებელ პერიოდს და მომდევნო 2 წელს შეფასების განხორციელებისათვის. უკვე ჩამოყალიბებული სისტემის პირობებშიც კი, ანუ შესაბამისი სამართლებრივი ბაზის, ფინანსური და ადამიანური რესურსის არსებობისას, საჭიროა 4 წელი.

ჩვენს შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის ძვირადღირებული პროცესი, რომელიც მოითხოვს კარგ მენეჯმენტს, დიდი რაოდენობით ექსპერტებს მ.შ. საერთაშორისო დონეზე. ამასთან, არ გვაქვს შესაბამისი სამართლებრივი ბაზა. მსგავსი ძვირადღირებული საექსპერტო შეფასების ჩატარებას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერების საბაზო დაფინანსება მნიშვნელოვნად მეტი იქნება, ვიდრე 2012 წელს უმაღლეს კვლევით დაწესებულებებზე ერთობლივად დახარჯული 19,7 მლნ. ლარია (საექსპერტო შეფასების ალტერნატივა მოკლევადიან პერიოდში იხ. რეკომენდაცია 3.2.5 და 3.2.6). შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდის უპირველესი ამოცანაა საექსპერტო შეფასებისათვის შესაბამისი გარემოს მომზადება.

3.2.2. ქვეყანაში მეცნიერების სტრატეგიის განსაზღვრისას უნდა ჩამოყალიბდეს მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და მათთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური და გამოყენებითი პროგრამების საგრანტო კონკურსები.

3.2.3. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია მის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

### **მოკლევადიან პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებები**

3.2.4. მეცნიერების საბაზო დაფინანსების უახლოეს მომავალში ერთბაშად მნიშვნელოვანი გაზრდა შეუძლებელია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების ამოქმედება და მცირე რესურსების იმგვარი განაწილება, როგორც უნივერსიტეტებს შორის, ასევე უნივერსიტეტების შიგნით, რომ ამ დაფინანსებამ მაქსიმალური შედეგი აჩვენოს.

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უნდა განახორციელონ აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება, რაც, თავის მხრივ, გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიერ ამ ვალდებულების შესრულების მონიტორინგშიც უნდა აისახოს. შეფასება არ უნდა ჩატარდეს შეფასებისათვის. შეფასების შედეგი უნდა გახდეს აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი ფინანსური თუ სხვა სახის სტიმულირების საფუძველი.

3.2.5. კვლევების შეფასებისათვის გამოიყენება ორი მიდგომა: საექსპერტო და ბიბლიომეტრული. ორივეს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს, მიუხედავად ამისა, კვლევები ადასტურებს, რომ მათი გამოყენება ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას<sup>24</sup>. ვინაიდან საექსპერტო შეფასების მომზადება დიდ დროს მოითხოვს და თან მას აზრი აქვს მხოლოდ დიდი ოდენობით დაფინანსების არსებობისას, ამ პირობების დაკმაყოფილებამდე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისათვის უნდა გამოვიყენოთ

<sup>24</sup> Impact of selective funding of research in England, and the specific outcomes of HEFCE research funding. Evidence Ltd. 2005.

ბიბლიომეტრული მეთოდი და სამეცნიერო გარემოს შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლები, კერძოდ,

ბიბლიომეტრული მეთოდისთვის:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ზუსტი მეცნიერებების და მედიცინისათვის გამოვიყენოთ ტომსონ - როიტერის ISI Web of Science - ის მონაცემები (გამოქვეყნების რაოდენობა და ციტირება).
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში web of science –თან ერთად შესაძლებელია და Scopus-ის და google scholar -ის მონაცემების გამოყენება (უნივერსიტეტების საერთაშორისო რანჟირებისას Webometrics-ი იყენებს google scholar-ს).<sup>25</sup>

კვლევითი გარემოს შეფასებისათვის კი შესაძლებელია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება:

- კვლევითი გარემოს მიმზიდველობა - საერთაშორისო დოქტორანტებისა და პოსდოკების რაოდენობა. <sup>26</sup> ეს მაჩვენებელი ითვალისწინებს მხოლოდ განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებს, ვინაიდან მათ აქვთ მსგავსი ან უკეთესი სასწავლო-კვლევითი პირობები საკუთარ ქვეყანაში და აკეთებენ არჩევანს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის სასარგებლოდ;
- დაცული დისერტაციების რაოდენობა, მხოლოდ ქვემოთ მითითებული პირობების დაცვით. საუნივერსიტეტო კვლევების შეფასებისას, როგორც წესი, ყურადღებას აქცევენ დაცული სადოქტოროების რაოდენობას. თუმცა, როგორც ევროპის კვლევითი უნივერსიტეტების ლიგის კვლევაც მიუთითებს, მხოლოდ დაცული სადოქტოროების რაოდენობა არ ასახავს რეალურ შედეგს. საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფაც<sup>27</sup>. ამდენად, მხოლოდ სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწისა და ზალცბურგის პრინციპების გათვალისწინების შემდეგ უნდა გახდეს შესაძლებელი დაცული დისერტაციების რაოდენობის შეფასების ერთ-ერთ მაჩვენებლად გამოყენება;
- სამეცნიერო პროექტები და მათში დოქტორანტების სრულფასოვანი ჩართულობა;
- ევროკავშირის სამეცნიერო პროექტები (Marie Curie, FP7 და ა.შ.);
- საერთაშორისო სადოქტორო ქსელებში მონაწილეობა / ერთობლივი სადოქტორო პროგრამები კოტუტელე ხელშეკრულებებით;
- პროფესორებისა და მკვლევრების მობილობა მინიმუმ 1 თვე (ევროკავშირი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ავსტრალია, აშშ, კანადა, შვეიცარია, ნორვეგია), ასევე სპეციალობის შესაბამის ქვეყნებში (მაგ. აღმოსავლეთმცოდნეებისათვის).
- ინოვაცია, ლიცენზია, პატენტები (განსაკუთრებით - ევროპის პატენტების ოფისი EPO) და შესაბამისად მოზიდული დაფინანსება.

3.2.6 კვლევითი საქმიანობის შეფასების გაადვილების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად შექმნას სამეცნიერო - საინფორმაციო სისტემა, რომელშიც თავს მოიყრის და განახლება ზემოაღნიშნული ინფორმაცია. ის გახდება ინფორმაციის სანდო და გამჭვირვალე წყარო, რომელიც გააადვილებს კვლევების შეფასების პროცესს.

<sup>25</sup> <http://www.webometrics.info/en/Methodology>

<sup>26</sup> Ibidem

<sup>27</sup> Phillips M, Research universities and research assessment. LERU 2012. P. 5.

3.2.7 ხარისხიანი სამეცნიერო კვლევების / სამეცნიერო ჯგუფებისა თუ უნივერსიტეტების იდენტიფიცირების მიზნით სამეცნიერო კვლევების შეფასების პარალელურად სასურველია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან განხორციელდეს CHE-ს სტანდარტების შესაბამისი რანჟირების ინიცირება. CHE - ის რანჟირება სხვებთან შედარებით უფრო მისაღებია, ვინაიდან არაა ორიენტირებული ადგილების გადანაწილებაზე. ის სხვადასხვა პერსპექტივიდან აჩვენებს უნივერსიტეტს და მომხმარებელს მისთვის სასურველი კრიტერიუმების ამორჩევის მეშვეობით საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს უსდ-ს პროფილი.

**რეკომენდაცია, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება მოცემულ საკითხს:**

- აუცილებელია, რომ სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაანერგოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტატისტიკური მონაცემების მოპოვებისა და გადამუშავების შესაბამისი სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტისა და OECD-ის მოთხოვნებთან.

## დანართები

### დანართი #1- ექსელენს-კლასტერის განხორციელება გერმანიაში

ექსელენს-ინიციატივის მეორე მიმართულება, *ექსელენს კლასტერები*, წარმატებულად ფუნქციონირებს მის მშობლიურ კონტექსტში. არნიშნული ინიციატივის განხორციელება მსგავსი კონტექსტის გარეშე შესაძლებელია უარყოფითად აისახოს მეცნიერების განვითარებაზე.

მეცნიერების ფუნქციონირების პირობები გერმანიაში:

- სახელმწიფო დადგენილი განაკვეთის შესაბამისად აფინანსებს აკადემიურ და კვლევით პერსონალს, რომელიც ვალდებულია განახორციელოს კვლევა;
- სახელმწიფოს მხარდაჭერით ვითარდება სასწავლო-სამეცნიერო ინფრასტრუქტურა;
- სახელმწიფოს პირდაპირი და ასევე სპეციალური საგრანტო დაფინანსებით ვითარდება თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკები და არქივები;
- არსებობს სამთავრობო (მ.შ. ფედერალური სამინისტროს, DFG, DAAD) და კერძო ფონდები, რომლებიც საგრანტო კონკურსის საფუძველზე ყოველწლიურად მილიონობით ევროს სამეცნიერო პროექტებს აფინანსებენ.
- ყველა სამეცნიერო მიმართულებით არსებობს რეფერირებადი ჟურნალები გერმანულ ენაზე. ამასთან, სამეცნიერო სტატიების დიდი რაოდენობა გამოიცემა ინგლისურენოვან რეფერირებად ჟურნალებში (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში).

სახელმწიფოს მხრიდან განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების მრავალფეროვნება, თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო ინფრასტრუქტურა და გერმანულენოვანი რეფერირებადი ჟურნალების არსებობა (განსაკუთრებით, ჰუმანიტარია დ სოც. მეცნ.) გერმანიაში მეცნიერების სტაბილური განვითარების საფუძველს ქმნის. ამ პირობებში ყველა უნივერსიტეტი ახორციელებს საერთაშორისო დონის კვლევებს, რასაც ადასტურებს CHE-ის 2010 წლის მონაცემები. მაგ., გერმანიის რამდენიმე უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტების შედარება (მხოლოდ მიუნხენის ფიზიკის ფაკულტეტს აქვს ექსელენს კლასტერი).

უნივერსიტეტი	პუბლიკაციები -web of science	ციტირება
მიუნხენი	3580	1,6
ვურცბურგი	1764	1,2
იენა	1442	1,1

წყარო: <http://www.excellenceranking.org/eusid/EUSID>

ამ ფონზე ექსელენს ინიციატივა და განსაკუთრებით კი მისი მეორე მიმართულება -ექსელენს კლასტერი მიზანმიმართულად უზრუნველყოფს გერმანული უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე მოწინავეთა შორის დამკვიდრებას. ამისთვის, თითოეული კლასტერი წელიწადში 6,5 მლნ ევროთი ფინანსდება.

ექსელენს ინიციატივა სტაბილური გარემოში ფუნქციონირებად კარგ უსდ-ს/კვლევით ჯგუფებს შორის არჩევს საუკეთესოებს. ექსელენს ინიციატივის პირველ ფაზაში გამოყოფილი თანხების

58% გადანაწილდა 9 უნივერსიტეტზე მაშინ, როდესაც გერმანიაში 200-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა.

ტაიმსის 2013 წლის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში გერმანიის ყველაზე წარმატებული LMU-მიუნხენი შემდეგნაირად გამოიყურება:

საერთო რანჟირება - 48

ფიზიკა - 19

ხელოვნება და ჰუმანიტარია - 32

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები - 37

მედიცინა და ჯანდაცვა - 42

სოციალური მეცნიერებებისა და ინჟინერია-ტექნოლოგიების მიმართულებებით მსოფლიო 50 უნივერსიტეტში ვერ მოხვდა ვერც ერთი გერმანული უნივერსიტეტი.

### ექსელენსის ინიციატივა გერმანიაში (ფაქტები და ციფრები)

2005 წლის ივნისში ფედერალურმა და მიწის მთავრობებმა ერთობლივად მიიღეს ექსელენს ინიციატივა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი დონის სამეცნიერო კვლევებს და ზოგადად აამაღლოს გერმანული უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, რათა გერმანია გახდეს კვლევებისათვის უფრო მიმზიდველი ადგილი, უფრო მეტად კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე და ყურადღება ფოკუსირებული იქნება გერმანული უნივერსიტეტებისა და გერმანული სამეცნიერო საზოგადოების გამორჩეულ მიღწევებზე.

მიზნის მისაღწევად, ანუ გერმანული მეცნიერების საერთაშორისო დონეზე წამყვანთა შორის წარმოსაჩენად შეირჩა დაფინანსების სამი მიმართულება:

- სადოქტორო სკოლები;
- ექსელენს კლასტერები უახლესი კვლევების ხელშესაწყობად;
- საუნივერსიტეტო სტრატეგია მაღალი დონის სამეცნიერო კვლევისათვის.

საგრანტო კონკურსის განსახორციელებლად შეირჩა DFG და German Council of Science and Humanities, რომელიც პასუხისმგებელია მესამე მიმართულებაზე

**პირველი ფაზა მოიცავდა 2006 -2011 წწ.** 1,9 მილიარდი ევრო (75% ფედერალური, 25% მიწის თანხები) დაფინანსებით და განხორციელდა ორ რაუნდად.

სამთავრობო დონეზე განსაზღვრული ზოგადი პირობები:

- სადოქტორო სკოლა: 1-დან 2,5 მილიონამდე წელიწადში. სულ 60 მილიონი წელიწადში;
- ექსელენს კლასტერი: 3-დან 8 მილიონამდე ევრო წელიწადში. სულ 292 მილიონი წელიწადში.
- სტრატეგია: სულ წელიწადში 142 მილიონი ევრო.

**პირველი ფაზაში დაფინანსდა:**

- 39 სადოქტორო სკოლა, წელიწადში 1 მილიონი ევრო;
- 37 ექსელენსკლასტერი, წელიწადში საშუალოდ 6,5 მილიონი ევრო;
- 9 სტრატეგია, სულ წელიწადში 13,5 მილიონი ევრო.

**თანხები ინსტიტუციებისა და მიმართულებების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:**

- 37 უნივერსიტეტმა მიიღო დაფინანსება 1 მიმართულებით მაინც;
- 9 უნივერსიტეტმა მიიღო დაფინანსება სამივე მიმართულებით და მათზე მოდის დაფინანსების 58%;
- პირველი და მეორე მიმართულებებით დაფინანსებულ პროექტების 1/3 მოდის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებზე (ბიოლოგია და მედიცინა), დანარჩენი თითქმის თანაბრად გადანაწილდა ჰუმანიტარულ, სოციალურ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ მეცნიერებებზე, მათემატიკასა და ინჟინერიაზე.

**მეორე ფაზა** მოიცავს 2012-2017 წლებს 2,7 მლრდ ევრო დაფინანსებით და პირველი ფაზისგან განსხვავებით მხოლოდ ერთ რაუნდში გადანაწილდა დაფინანსება 5 წლის ვადით.

2012 წელს დაფინანსდა 45 სადოქტორო სკოლა, 43 ექსპლენსკლასტერი და 11 სტრატეგია.

## **დანართი #2 - მაქს პლანკის საზოგადოება - ფაქტები და ციფრები<sup>28</sup>**

საზოგადოება აგებულია ჰარნაკის პრინციპზე. დაარსებიდან დღემდე მუშაობდა 17 ნობელის პრემიის ლაურეატი. საზოგადოების სახელით ყოველწლიურად ქვეყნდება **15 000**-ზე მეტი პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში და მათი უმეტესობა ყველაზე მეტად ციტირებულია შესაბამის სფეროში.

საზოგადოება ხასიათდება ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონით. 82 ინსტიტუტიდან 5 გერმანიის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებს. 2013 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებაში დასაქმებულია 5470 მეცნიერი (დასაქმებულების-32,3%). დასაქმებულების 36,9% უცხო ქვეყნის მოქალაქეა. მეცნიერთა 80% უნივერსიტეტში ასწავლის.

საბაზო დაფინანსების 80% საჯარო თანხებია და 2013 წელს 1,53 მილიარდი ევრო შეადგინა. ბოლო 20 წლის განმავლობაში შეიქმნა 86 სპინოფი და მათგან მიიღო 200 მილიონი ევროს შემოსავალი.

2013 წლის 29 ივლისს საზოგადოებამ გაავრცელა საკუთარი პოზიცია მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით<sup>29</sup>: “მხოლოდ ის ქვეყნები გადარჩებიან, რომლებიც ინტენსიურ, გრძელვადიან ინვესტირებას ახდენენ კვლევასა და განვითარებაში. კვლევასა და განვითარებაში ინვესტიციების შემცირება ან სტაგნაცია ნებისმიერ ქვეყანას უკან ჩამოტოვებს. ამასთან, ინდივიდუალური ინსტიტუციაში კვლევის საშუალოდან მსოფლიო წამყვან დონემდე რამდენიმე წელიწადში აწევს მისწრაფება არასწორია”. საზოგადოება მეცნიერების მომავალი განვითარებისათვის გამოდის წინადადებით, რომ გერმანიის ყველა უნივერსიტეტში შეიქმნას მაქს პლანკის ცენტრები, რაც ამ ორი ინსტიტუციის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

<sup>28</sup> <http://www.mpg.de/183251/portrait>

<sup>29</sup> Position Paper on the Future of the Science System. MPG 2013. [http://www.mpg.de/276626/Max\\_Planck\\_internal](http://www.mpg.de/276626/Max_Planck_internal)



**დანართი #3 - პუბლიკაციები სამეცნიერო სფეროების მიხედვით (ISI Web of Knowledge)**

ესტონეთი 2005 -2009

სამეცნიერო სფერო	პუბლიკაცია	ციტირება	ციტირება პუბლიკაციაზე , %	ციტირებული პუბლიკაციების %
სოფლის მეურნეობა	292	911	3.12 (EU27 3.09)	62.7%
ჰუმანიტარული მეცნიერებები	181	53	0.29 (EU27 0.48)	15.5%
მედიცინა და ჯანმრთელობა	1 043	7 103	6.81 (EU27 6.56)	70.2%
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	3 023	14 732	4.87 (EU27 4.99)	67.3%
სოციალური მეცნიერებები	435	946	2.17 (EU27 2.13)	44.8%

წყარო: Research and development in Estonia. Overview and Statistics. Compilers: Taivo Raud, Joel Peetersoo, Rein Kaarli, Ursula Tubli, Kadri Vider, Ene Kadastik. Tartu 2011

დანართი #4 - დანახარჯები მეცნიერებასა და განვითარებაზე

% მშპ

ქვეყანა\თარიღი	2008	2009	2010	2011	2020 მიზანი
ევროკავშირი (27 ქვეყანა)	1.92	2.01	2	2.03	3
ბელგია	1.97	2.03	2.01	2.04	3
ბულგარეთი	0.47	0.53	0.6	0.57	1.5
ჩეხეთი	1.41	1.47	1.56	1.85	:
დანია	2.85	3.16	3.07	3.09	3
გერმანია	2.69	2.82	2.8	2.84	3
ესტონეთი	1.28	1.43	1.63	2.38	3
ირლანდია	1.46	1.76	1.71	1.72	:
ესპანეთი	1.35	1.39	1.39	1.33	3
საფრანგეთი	2.12	2.27	2.24	2.24	3
ხორვატია	0.9	0.85	0.75	0.76	:
იტალია	1.21	1.26	1.26	1.25	1.53
კვიპროსი	0.43	0.49	0.5	0.48	0.5
ლატვია	0.62	0.46	0.6	0.7	1.5
ლიტვა	0.8	0.84	0.8	0.92	1.9
ლუქსემბურგი	1.66	1.72	1.48	1.43	2.3
უნგრეთი	1	1.17	1.17	1.21	1.8
მალტა	0.55	0.53	0.66	0.72	0.67
ჰოლანდია	1.77	1.82	1.85	2.04	2.5
ავსტრია	2.67	2.71	2.79	2.75	3.76
პოლონეთი	0.6	0.67	0.74	0.76	1.7
პორტუგალია	1.5	1.64	1.59	1.49	2.7
რუმინეთი	0.58	0.47	0.46	0.5	2
სლოვენია	1.66	1.85	2.09	2.47	3
სლოვაკეთი	0.47	0.48	0.63	0.68	1
ფინეთი	3.7	3.94	3.9	3.78	4
შვედეთი	3.7	3.6	3.39	3.37	4
გაერთიანებული სამეფო	1.75	1.82	1.77	1.75	:
ნორვეგია	1.58	1.76	1.68	1.64	:
თურქეთი	0.73	0.85	0.84	0.86	:
რუსეთი	1.04	1.24	1.11	:	:
აშშ	2.82	2.87	:	:	:
იაპონია	3.47	3.36	:	:	:
სამხრეთ კორეა	3.36	3.57	4	:	:

წყარო: ევროკავშირი 2020.

[http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe\\_2020\\_indicators/headline\\_indicators](http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe_2020_indicators/headline_indicators)

**დანართი #5 - სამეცნიერო კვლევების შეფასების კრიტერიუმები და დონეები ქვეპროფილების მიხედვით**

შეფასების საბოლოო შედეგი - ხარისხის ზოგადი პროფილი შედგება სამი ქვეპროფილისაგან (შედეგი, გავლენა, გარემო). თითოეული ქვეპროფილი ფასდება 5 დონის მიხედვით.

**შედეგი (ქვეპროფილი 65%)**

კრიტერიუმები: ორიგინალობა, მნიშვნელობა და სიძლიერე

4 ვარსკვლავი	ხარისხი - მსოფლიოში წამყვანი, ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით
3 ვარსკვლავი	ხარისხი - საერთაშორისო წარჩინებით/ექსელენსი, მაგრამ ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით ჩამოუვარდება ექსელენსის უმაღლეს სტანდარტებს
2 ვარსკვლავი	ხარისხი - საერთაშორისო დონეზე აღიარებული, ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით
1 ვარსკვლავი	ხარისხი- აღიარებული ეროვნულ დონეზე ორიგინალობის, მნიშვნელობისა და სიძლიერის მიხედვით
არაკლასიფიცირებულო	ხარისხი - ეროვნულ სტანდარტზე დაბალია ან ნაშრომი არ შეესაბამება შეფასების მიზნებისათვის გამოყენებულ კვლევის დეფინიციას

**ზეგავლენა (ქვეპროფილი 20%)**

კრიტერიუმები: წვდომა და მნიშვნელობა

4 ვარსკვლავი	გამორჩეული ზეგავლენა წვდომისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით
3 ვარსკვლავი	ძალიან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მიღწევადობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით
2 ვარსკვლავი	მნიშვნელოვანი ზეგავლენა მიღწევადობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით
1 ვარსკვლავი	აღიარებული, მაგრამ მოკრძალებული ზეგავლენა მიღწევადობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით
არაკლასიფიცირებულო	ზეგავლენა მიღწევადობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით არის მცირე ან გავლენა არაა შესაფერისი ან გავლენა არაა გამაგრებული კარგი კვლევით.

**კვლევითი გარემო (ქვეპროფილი 15%)**

კრიტერიუმები: სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა

4 ვარსკვლავი	გარემო, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიოში წამყვანი ხარისხის კვლევის განხორციელებას სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით
3 ვარსკვლავი	გარემო, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისოდ წარჩინებული ხარისხის კვლევის განხორციელებას სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით
2 ვარსკვლავი	გარემო, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისოდ აღიარებული ხარისხის კვლევის განხორციელებას სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით
1 ვარსკვლავი	გარემო, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ დონეზე აღიარებული ხარისხის კვლევის განხორციელებას სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით
არაკლასიფიცირებული	გარემო, რომელიც ხელს არ უწყობს ეროვნულ დონეზე აღიარებული ხარისხის კვლევის განხორციელებას

## **დანართი #6 - ერთობლივი სადოქტორო პროგრამა და კოტუტელე ხელშეკრულება თსუ-ში; წარმატებული მაგალითი**

2010 წელს თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტი ჩაერთო ერთობლივ სადოქტორო პროგრამაში, რომელშიც გაერთიანებულია ევროპის 9 ქვეყნის 12 უნივერსიტეტი (იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ესპანეთი, პორტუგალია, ბულგარეთი, პოლონეთი, საქართველო, რუსეთი) (პროგრამის ვებ-გვერდი: <http://www2.lingue.unibo.it/dese/>).

### **ერთობლივი პროგრამის სტრუქტურა და მენეჯმენტი**

ერთობლივი პროგრამის შინაარსობრივი და ორგანიზაციული საკითხები გამიჯნულია. მენეჯერები უზრუნველყოფენ პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას და პარტნიორ უნივერსიტეტებთან კომუნიკაციას.

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით შექმნილია სამეცნიერო საბჭო, რომელიც აერთიანებს ყველა პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელს, მათ შორის, ერთობლივი პროგრამის სამეცნიერო საბჭოს წევრი თსუ-ს პროფესორიც გახდა. საბჭო ყოველწლიურად განსაზღვრავს კვლევის თემატიკას შესაბამის სასწავლო წელს მისაღები დოქტორანტებისათვის, მაგ., “სიზმარი ევროპულ ლიტერატურაში”. აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამი ქვეყნის ერთი და იმავე პერიოდისა და ჟანრის ლიტერატურის კვლევა.

სამეცნიერო საბჭო პასუხისმგებელია დოქტორანტთა პროგრესზე და ყოველწლიურად აფასებს მათ მიერ გაწეულ საქმიანობას.

### **დოქტორანტების შერჩევა**

დოქტორანტის შერჩევის პირობას, შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის ენის – ფრანგულის ცოდნა. თსუ-დან აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო ოთხი დოქტორანტი.

### **დოქტორანტის ხელმძღვანელობა**

ხელმძღვანელობა ხორციელდება ერთობლივად თბილისისა და ბოლონიის უნივერსიტეტების პროფესორების მიერ. ერთობლივი პროგრამის დაწყებიდან ერთი სემესტრის შემდეგ მომზადდა და გაფორმდა კოტუტელე ხელშეკრულება ოთხივე დოქტორანტზე. თანახელმძღვანელობის ხელშეკრულებაში განისაზღვრა დოქტორანტების დაფინანსებისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის საკითხები.

### **სასწავლო-კვლევითი პროცესი და გაწეული საქმიანობის პერიოდული შეფასება**

შეთანხმების საფუძველზე პარტნიორებმა აღიარეს თსუ-ს სასწავლო კომპონენტი. პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად დოქტორანტებმა ერთი სემესტრი გაატარეს ბოლონიის უნივერსიტეტში, სადაც კვლევის პარალელურად იტალიელი და ფრანგი პროფესორებისგან იღებდნენ კონსულტაციებს.

დოქტორანტები მონაწილეობენ ერთობლივი პროგრამის სამეცნიერო საბჭოს მიერ ბელგიაში ორგანიზებულ ყოველწლიურ სემინარებში, რომლებზეც საერთაშორისო საბჭოს წინაშე წარადგინეს კვლევის ანგარიშები. გაწეული საქმიანობის შეფასება და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ხელს უწყობს მათი კვლევითი ნაშრომის შემდგომ განვითარებას.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სავალდებულო წინაპირობაა წინასწარი დაცვა პარტნიორ უნივერსიტეტში საერთაშორისო ექსპერტებთან. აღნიშნული ეტაპი თსუ-ს დოქტორანტებმა წარმატებით დაძლიეს. დოქტორანტებს მიეცათ ერთწლიანი ვადა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

### **დისერტაციის დაცვა და კვალიფიკაციის მინიჭება**

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა განხორციელდება თსუ-ში თანახელმძღვანელისა და შერეული საერთაშორისო საბჭოს წინაშე. დისერტაცია მომზადდება ორ ენაზე. დაცვის შედეგად მიენიჭებათ თსუ-ს ფილოლოგიის დოქტორისა და ბოლონიის უნივერსიტეტის შესაბამისი ხარისხები.

### **ერთობლივი პროგრამის გამოწვევები**

ერთობლივი პროგრამის წინაშე მდგარ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა დოქტორანტების დაფინანსება. მენეჯმენტის მიერ პროგრამის დაფინანსების საკითხებში ფაკულტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის ჩართვით ისევე, როგორც სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის შესაბამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობით შესაძლებელი გახადა დოქტორანტებისათვის საჭირო თანხების მოძიება.

### **პროგრამის წარმატება**

*აღნიშნული პროგრამის წარმატებას, პირველ რიგში, წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე ოთხი დოქტორანტის ჩართვა და მათ მიერ საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებული ორიგინალური კვლევითი ნაშრომის მომზადება. ამასთან, ერთობლივი პროგრამა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე პროფესორის ჩართულობის თვალსაზრისითაც. ასეთი ურთიერთობები ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ახალი კულტურის ჩამოყალიბებასა და უნივერსიტეტებს შორის სასწავლო-კვლევითი ურთიერთობების გაღრმავებას.*

**დანართი # 7- უნივერსიტეტები და კვლევითი პროექტები**

#	უნივერსიტეტები	სამეცნიერო ფონდიდან 2012 წლის კონკურსის გრანტები, დაფინანსება 2013 წ-დან			2010-13 წწ GNSF-დან და სხვა წყაროებიდან დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები (ვებზე მითითებული 14.07.13)	შენიშვნა
		ფუნდ.	გამ.	სულ		
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	37	18	55	70 ეროვნული 45 საერთაშორისო პროექტი	
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	0	0	0	GNSF; EC; The National Centre of Competence in Research (NCCR) Volkswagen; ACTR/ACCELS; შვეიცარიის ერ. სამეცნ. ფონდი; STCU	
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	14	4	18	GNSF; Humboldt-Stiftung; DAAD;	კვლევითი ინსტ. ახორციელებენ გრძელვადიან სამეცნიერო კვლევებს, თუმცა კონკრეტული დამფინანსებლები უმეტეს შემთხვევაში არაა მითითებული
4	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	1	3	GNSF	ვებზე არის მონაცემები 2006-2010 წლის ჩათვლით
5	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	0	0	0	0	ჰუმ.ფაკ. სამეცნიერო მუშაობა ასახავს მხოლოდ კონფერენციებს
6	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3	0	3	0 (სამეცნ-კვლევითი ინსტ-ს აქვთ განხორგ. პროექტები)	
7	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	0	0	0	0	
8	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	7	2	9	FP7; CRDF; STCU; ნორვეგიის სამეცნიერო ფონდი, აშშ სატყეო სახ.დეპ	
9	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1		1	0	
10	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	0	0	0	0	
11	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	8	7	15	FP7, USAD, DAAD, VW	

12	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	0	0	ერთი 8 თვიანი პროექტი	აქვს სამეცნიერო-კვლევითი ინსტ-ბი
13	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	0	0	0	0 (1)	GNSF -ის ანგარიშის მიხედვით 2011 წელს მიიღო გრანტი
14	შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	0	0	0	ახორციელებს კვლევას, გაურკვეველია დამფინანსებელი	
15	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	0	0	0	SIU; USAID; OSGF;WB; რუსთაველის ფონდი	
16	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	0	0	0	FP7; OSGF	
17	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	0	0	0	0	აქვს კვლევითი ცენტრები
18	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	0	0	0	0	
19	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	0	0	0	შიდასაუნივერსიტეტო გრანტები	
20	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0	0	0	0	
21	შპს - აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	0	0	0	0	აქვს კვლევითი ინსტიტუტი
22	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	0	0	0	0	აქვს კვლევითი ცენტრი
23	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	0	0	0	0	
24	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	0	0	0	0	კვლევები ვებზე საერთოდ არაა ნახსენები
25	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	0	0	0	0	
26	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0	0	0	0	

შენიშვნა: 2012 წელს სამეცნიერო გრანტი მიიღო ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტმა  
წყარო: [www.eqe.ge](http://www.eqe.ge); [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)



**დანართი #8 - უნივერსიტეტების აკადემიური და კვლევითი პერონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიები web of Science-ზე 2010 – 2013**

2013 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით

#	უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის სახელწოდება web of Science-ზე	პუბლიკაციები web of Science-ზე 2010-13
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	Tbilisi state univ Javakhishvili state univ	902  538 - ფიზიკა 143 - მათემატიკა 64 - ქიმია ... 2 - ჰუმანიტ. მეცნიერ., 1 - სამართალი
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	Tbilisi state medical univ	43  13- ქიმია 11- ფარმაცოლოგია 7- ნეიროლოგია
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	Ilia state univ 225 Ilia univ -2 Chavchavadze state univ -34 Chavchavadze univ -1	262  135- ასტროფიზიკა, ფიზიკა 19 - მათემატიკა 11 - ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია 2 - ჰუმანიტ. მეცნიერებები
4	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	Kutaisi state univ Tsereteli state univ	21 10 - მათემატიკა 9 - ფიზიკა 1 - ქიმია 1 - ინჟინერია
5	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	Rustaveli state univ	3 2 – მათემატიკა 1 - მიკრობიოლოგია
6	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	Telavi state univ	4 - მეტეოროლოგია
7	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	Georgian Technical univ	88 41 - მათემატიკა 20 - ფიზიკა 9 - მეტალურგია
8	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	Sokhumi state univ	4 3 - მათემატიკა 1 - ქიმია
9	შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	Aieti med school	3
10	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	St Andrew Georgian univ	1 - მათემატიკა
11	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	Black sea univ	11 9 - მათემატიკა 2- ბიზნეს-ეკონომიკა
22	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	Georgian American univ	6 - მათემატიკა

## **დანართი #9 კოტუტელე ხელშეკრულება- მაგალითი**

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში კოტუტელე ხელშეკრულებით ხდება ინდივიდუალური დოქტორანტის ერთობლივი ხელმძღვანელობის ფორმალიზება. მიუხედავად იმისა, რომ კოტუტელე ხელშეკრულება მხოლოდ ერთობლივ ხელმძღვანელობას შეეხება, ამ ხელშეკრულებით, ასევე, შეიძლება დარეგულირდეს სადოქტორო განათლების სხვა ელემენტებიც.

“JOIMAN” პროექტის მიერ ჩამოყალიბებული, კოტუტელე ხელშეკრულების ფარგლებში გასათვალისწინებელი საკითხები:

მუხლი 1. მიღება და რეგისტრაცია

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამა:

- სწავლის ხანგრძლივობა
- დისერტაცია/თეზისი
- ხელმძღვანელობა
- პროგრესია
- დისერტაციის/თეზისის წარდგენა და შეფასება
- ხარისხის მინიჭება და დიპლომის გაცემა

მუხლი 3. დაფინანსება

მუხლი 4. სოციალური დაცვა

მუხლი 5. პუბლიკაცია

მუხლი 6. ინდივიდუალური საკუთრების უფლება

მუხლი 7. ხელშეკრულების დამთავრება/ვადები

მუხლი 8. ინფორმაციის გაცვლა

## გამოყენებული ლიტერატურის სია

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004
2. საქართველოს კანონი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ. 1994
3. საქართველოს კანონი საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შესახებ. 2007
4. საქართველოს კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. 2008- 2012 წლები; <http://mof.ge/4979>
5. საქართველოს მთავრობა. ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. 2009-2012; 2010-2013; 2011-2014. <http://mof.ge/BDD>
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ; 04.05.2011- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 98/ნ; 01.10.2010 - „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 10/ნ, 04.02.2010 “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ”
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3, 207 “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ “
10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბერის ბრძანება №147/ნ “2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ”
11. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი; [www.eqe.ge](http://www.eqe.ge)
12. 2012 წელს დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები. [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)
13. ექსელენს ინიციატივა გერმანიაში.  
[http://www.dfg.de/en/research\\_funding/programmes/excellence\\_initiative/general\\_information/index.html](http://www.dfg.de/en/research_funding/programmes/excellence_initiative/general_information/index.html); [http://www.wissenschaftsrat.de/arbeitsbereiche-arbeitsprogramm/exzellenzinitiative/historie\\_der\\_exzellenzinitiative\\_und\\_dokumente.html#c12284](http://www.wissenschaftsrat.de/arbeitsbereiche-arbeitsprogramm/exzellenzinitiative/historie_der_exzellenzinitiative_und_dokumente.html#c12284)  
<http://www.bmbf.de/en/1321.php>
14. A desk-based review for HEFCE and the Department for Education and Skills. Evidence Ltd 2005
15. Bologna Seminar on “Doctoral Programmes for the European Knowledge Society” – Conclusions and recommendations; Salzburg, 3-5 February 2005
16. Bogle David. Doctoral Degrees beyond 2010: Training talented researcher for society. LERU 2010  
<http://www.leru.org/index.php/public/extra/position-papers/>
17. Code of practice for the assurance of academic quality and standards in higher education. Section 1: Postgraduate research programmes. QAA 2004
18. Doctoral degree characteristics. QAA 2011
19. Doctoral programmes for the European knowledge society. EUA 2005
20. EUROPE 2020 - A strategy for smart, sustainable and inclusive growth. Brussels, 3.3.2010  
COM(2010) 2020

21. Europe 2020 Indicators  
[http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe\\_2020\\_indicators/headline\\_indicators](http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe_2020_indicators/headline_indicators)
22. EUA Aarhus Declaration – “Investing Today in Talent for Tomorrow”. EUA 2011
23. EUA Lisbon Declaration – “Europe’s Universities beyond 2010: Diversity with a common purpose”. EUA 2010
24. Funding Systems and their Effects on Higher Education Systems – Germany. 2006.  
<http://www.oecd.org/germany/38308008.pdf>
25. Guide to funding. How HEFCE allocates its funds. 2010, [www.hefce.ac.uk](http://www.hefce.ac.uk)
26. Impact of selective funding of research in England, and the specific outcomes of HEFCE research funding. Evidence Ltd. 2005.  
[https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/222220/RW47A.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/222220/RW47A.pdf)
27. Identifying the Best: The CHE ExcellenceRanking 2010. [http://www.cheranking.de/downloads/CHE\\_AP137\\_ExcellenceRanking\\_2010.pdf](http://www.cheranking.de/downloads/CHE_AP137_ExcellenceRanking_2010.pdf)
28. OECD Review of tertiary Education –Estonia. OECD 2007
29. OECD (2013) Education at a Glance 2013: OECD Indicators, OECD Publishing.  
<http://dx.doi.org/10.1787/eag-2013-en>
30. Phillips Mary. Research universities and research assessment. LERU 2011  
<http://www.leru.org/index.php/public/extra/position-papers/>
31. Position Paper on the Future of the Science System. MPG 2013.  
[http://www.mpg.de/276626/Max\\_Planck\\_internal](http://www.mpg.de/276626/Max_Planck_internal)
32. Research and development in Estonia. Overview and statistics. Tartu 2011. [www.hm.ee](http://www.hm.ee)
33. REF 2014 - Assessment framework and guidance on submissions.  
<http://www.ref.ac.uk/media/ref/content/pub/assessmentframeworkandguidanceonsubmissions/GOS%20including%20addendum.pdf>
34. The researchers report 2012. Country profile –Estonia.  
[http://ec.europa.eu/euraxess/pdf/research\\_policies/country\\_files/Estonia\\_CountryFile\\_2012\\_FINALdoc.pdf](http://ec.europa.eu/euraxess/pdf/research_policies/country_files/Estonia_CountryFile_2012_FINALdoc.pdf)
35. Salzburg II recommendations. European Universities’ achievements since 2005 in implementing the Salzburg principles. EUA 2010
36. Science reform in Estonia – results and experience. <http://www.zbi.ee/~tartes/materjalid/leedu.PDF>
37. Study on the organisation of doctoral programmes in EU neighbouring countries – Georgia. 2010.  
[www.technopolisgroup.com](http://www.technopolisgroup.com)
38. Study on the organisation of doctoral programmes in EU neighbouring countries - Practices, developments and regional trends- Georgia. Technopolis 2010. [www.technopolisgroup.com](http://www.technopolisgroup.com)
39. Quality Assurance in Doctoral Education – results of the ARDE project; By Joanne Byrne, Thomas Jørgensen, Tia Loukkola. EUA 2013
40. Vincenzo Ferrari and the Doctoral Studies Working Group. Doctoral Studies in Europe: Excellence in Researcher Training. LERU 2007. [http://www.leru.org/index.php/public/extra/position-papers/Web\\_of\\_Science](http://www.leru.org/index.php/public/extra/position-papers/Web_of_Science). <http://apps.webofknowledge.com>